



საჩინო გაფატი

№2 (779)
ოთხშაბათი
22 იანვარი,
2025 წ.
ფასი 2 ლ.

**ჩვენ შევარჩებთ ყველა ომს და მოვუბნებთ
ერთიანობის ახალ სულიკვეთებას მსოფლიოს**



ჩვენ შევარჩიებთ ყველა ომს და მოვუბანთ ერთიანობის ახალ სულისკვთიებას მსოფლიოს



ამერიკის ოქროს ხანა იწყება დღეს. ამ დღიდან ჩვენი ქვეყანა აყვავდება და კვლავ მოიპოვებს პატივისცემას მთელ მსოფლიოში. ჩვენ გავხდებით ყველა ერის შურის საგანი და აღარ დავუშვებთ ჩვენი მანიპულირებას.

დღეს, როდესაც აქ შევიკრიბეთ, ჩვენი მთავრობა განიცდის ნდობის კრიზისს. წლების განმავლობაში რადიკალური, კორუპტირებული ელიტა იპარავდა სიმდიდრეს ჩვენი მოქალაქეების ხელიდან, მაშინ როცა ჩვენი საზოგადოების საფუძვლები რჩებოდა გაპარტახებული. მთავრობა, რომელსაც არ შეუძლია გაუმკლავდეს მარტივ პრობლემასაც კი ქვეყნის შიგნით, პარალელურად კი უცხოეთში კატასტროფული მარცხების სერიაშია ჩაფლული. ის ვერ იცავს ჩვენს შესანიშნავ, კანონმორჩილ ამერიკულ მოქალაქეებს, მაგრამ თავშესაფარსა და დაცვას სთავაზობს საშიშ კრიმინალებს, რომელთაგან ბევრმა უკანონოდ შემოაღწია ჩვენს ქვეყანაში მთელი მსოფლიოს ფსიქიატრიული დაწესებულებებიდან.

ეს მთავრობა, რომელიც იცავს სხვა ქვეყნების საზღვრებს, უარს ამბობს ამერიკის საზღვრების, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარი ხალხის დაცვაზე. ჩვენს ქვეყანას აღარ შეუძლია საბაზისო სერვისების უზრუნველყოფა საგანგებო სიტუაციებში, როგორც ეს ახლახანს გამოჩნდა ჩრდილოეთ კაროლინას

შესანიშნავი ხალხის მაგალითზე, რომლებიც სასტიკად იქნენ უგულვებელყოფილნი. სხვა შტატებშიც ხალხი კვლავ იტანჯება ქარიშხლის შედეგებისგან.

ბოლო 8 წლის განმავლობაში მე გამომცადეს და გამოწვევების წინაშე დამაყენეს უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერი სხვა პრეზიდენტი ჩვენი ქვეყნის ორასწლიან ისტორიაში, და ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე. ჩვენი რესპუბლიკის დაბრუნების გზა არ ყოფილა მარტივი, ამაში შემიძლია დაგარწმუნოთ. ისინი, ვინც ცდილობდნენ ჩვენი მოძრაობის შეჩერებას, ცდილობდნენ ჩემი თავისუფლების წართმევას და, ფაქტობრივად, ჩემი სიცოცხლის მოსპობასაც კი რამდენიმე თვის წინ პენსილვანიაში, როდესაც მკვლელის ტყვეობა გაიარა ჩემს ყურთან. მაგრამ მაშინ ვიგრძენი, და ახლა კიდევ უფრო მეტად მჯერა, რომ ჩემი სიცოცხლე გადარჩა არა უბრალოდ – ღმერთმა გადამარჩინა იმისთვის, რომ კვლავ გავხადო ამერიკა დიდი.

მე დაუყოვნებლივ დავიწყებ ჩვენი სავაჭრო სისტემის გადახედვას მუშებისა და მათი ოჯახების დასაცავად. ნაცვლად იმისა, რომ დავებერთ ჩვენი მოქალაქეები სხვა ქვეყნების გასამდიდრებლად, ჩვენ დავაწესებთ ბაჟებსა და გადასახადებს უცხოურ სახელმწიფოებზე ჩვენი მოქალაქეების გასამდიდრებლად. ამ მიზნით ჩვენ შევქმნით საგარეო შემოსავლების სამსახურს, რომელიც ამოიღებს ყველა გადასახადს საზღვარგარეთიდან. უზარმაზარი თანხები შემოვა ჩვენს ხაზინაში საზღვარგარეთული წყაროებიდან.

ჩვენ დავაბრუნებთ კანონსა და წესრიგს ჩვენს ქალაქებში. ამ კვირაში მე ასევე დავასრულებ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საზოგადოების რასობრივი და გენდერული კრიტიკურობით სოციალურ-საინჟინრო გადაწყობისკენ საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების ყველა ასპექტში.

ჩვენ შევქმნით საზოგადოებას, რომელიც თავისუფალი იქნება რასობრივი წინასწარგანწყობებისგან და დაფუძნებული იქნება დამსახურებაზე. დღეიდან შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალური პოლიტიკა იქნება მხოლოდ ორი სქესის – მამრობითისა და მდედრობითის აღიარება.

როგორც 2017 წელს, ჩვენ კვლავ ავაშენებთ ყველაზე ძლიერ არმიას, რომელიც კი ოდესმე უნახავს მსოფლიოს. ჩვენი წარმატება გაიზომება არა მხოლოდ იმ

ბრძოლებით, რომლებსაც მოვიგებთ, არამედ იმ ომებით, რომლებსაც დავასრულებთ და, რაც შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანია, იმ ომებით, რომლებშიც არასდროს ჩავებმებით.

ჩემი ყველაზე სასიხარულო შემკვიდრება იქნება მშვიდობისმყოფელისა და გამაერთიანებლის როლი – სწორედ ეს მინდა ვიყო, მშვიდობისმყოფელი და გამაერთიანებელი. მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ გუშინ, ჩემს ინაუგურაციამდე ერთი დღით ადრე, ახლო აღმოსავლეთში მივვლეთ და უბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს.

ჩვენ მივყვებით ჩვენს ბედისწერის მანიფესტს ვარსკვლავებისკენ, გავგზავნით ამერიკულ ასტრონავტებს მარსზე ვარსკვლავებიანი დროშის დასამკვიდრებლად


მე ვდგავარ თქვენს წინაშე, როგორც ცოცხალი მტკიცებულება იმისა, რომ არასდროს არ უნდა დაიჯეროთ შეუძლებელი ამერიკაში – ეს არის ის, რაც ჩვენ ყველაზე კარგად გამოგვადის.

ყველაფრის შემდეგ, რაც ჩვენ ერთად გადავიტანეთ, ჩვენ ვდგავართ ამერიკის ისტორიაში ოთხი ყველაზე დიდებული წლის ზღურბლზე. თქვენი დახმარებით ჩვენ აღვადგენთ ამერიკულ ოცნებას და კვლავ ავაშენებთ ერს, რომელიც ასე გვიყვარს. ჩვენ ვართ ერთიანი ხალხი, ერთი ოჯახი და ერთი დიდი ერი ღვთის ქვეშ.

ჩვენ ვიქნებით ერი, რომელსაც არ ჰკავს არც ერთი სხვა – საესე თანაგრძობით, სიმამაცითა და განსაკუთრებულობით. ჩვენი ძალა შეაჩერებს ყველა ომს და მოიტანს ერთიანობის ახალ სულისკვთებას მსოფლიოში, რომელიც საესე იყო სიბრაზით, ძალადობითა და სრული გაურკვევლობით. ამერიკა კვლავ იქნება პატივცემული ერი.

ჩვენ ვიქნებით რწმენის, რელიგიისა და კეთილი ნების ხალხი. ჩვენ ვიქნებით წარმატებულები, ჩვენ ვიქნებით ამაყები, ჩვენ ვიქნებით ძლიერები და ჩვენ გავიმარჯვებთ ისე, როგორც არასდროს. ჩვენ არ დავმარცხდებით, ჩვენ არ შეგვაშინებენ, ჩვენ არ გავგვტყვენ და ჩვენ არ წავაგებთ.

ამ დღიდან შეერთებული შტატები იქნება თავისუფალი, სუვერენული და დამოუკიდებელი ერი. ჩვენ გავბედავთ თამამად დგომას, ვიცხოვრებთ სიამაყით, ვიოცნებებთ გაბედულად და არაფერი დადგება ჩვენს გზაზე, რადგან ჩვენ ვართ ამერიკელები. მომავალი ჩვენია და ჩვენი ოქროს ხანა მხოლოდ იწყება.



გიორგი

ჩვენს ძვირფას კოლეგას, სპორტულ და პოლიტიკურ მიმომხილველს, თავისი საქმის პროფესიონალს, ერთგულ, კეთილშობილ და დაუნარელ ადამიანს

ბია ბურდულს

ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში და მშვიდობას მსოფლიოში.



ჩვენს საყვარელ თანამშრომელს, ერთგულ, უღალატო ადამიანს, სანდომიან, სათნო და კეთილშობილ ქალბატონს

ბულიკო ტიკარაძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ბედნიერებას თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.



გვესაუბრება პოლიტიკოსი ამბროსი მამარაძე:

ბატონო პეტრე, თითქმის ორი თვე სრულდება, რაც ხალხი რუსთაველის გამზირზე დგას. იქ მყოფთა შორის არის ახალგაზრდობა, ვისაც გულწრფელად სჯერა, რომ ევროპის გზას უკეტავენ. როგორია, რეალური სურათი?

დღეს არსებული პოლიტიკოსების პირობებში, ქუჩაში მყოფი ახალგაზრდებიდან, იმის ახსნა-განმარტებით, თუ რა ხდება რეალურად, ცოტა ვინმეს თუ დაიბრუნებ. მეამაყება, რომ გარე ძალების აქტიური ჩარევის, წაქეზების მიუხედავად, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი ვერ გადაიბრუნეს. ჯერ კიდევ როდის ამბობდა პეტრინსკი, 26 ოქტომბერს ხალხმა უნდა გააკეთოს არჩევანი ევროკავშირსა და რუსეთს შორისო. იგი პირდაპირ მიგვანიშნებდა, თუ „ქართულ ოცნებას“ ხმას მისცემთ, ე. ი. ევროკავშირში შესვლა არ გელომებათო. ანუ, ევროპა თუ გინდათ, ხმა რადიკალურ ოპოზიციას მიეცითო. ეს უტიფარი ტყუილია, რადგან ევროკავშირში კარგად იციან, რომ საქართველოს გაწევრიანებაზე ფიქრს გულშიც კი არ გაივლებენ, სანამ რუსეთს აფხაზეთი და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აქვს აღიარებული. რუსეთს იქ განთავსებული აქვს რეგიონისთვის მძლავრი სამხედრო ბაზები თავისი შეიარაღებით, რაკეტებით, ტანკებით, ცოცხალი ძალით. თბილისიდან 30 კმ-ში რუსული ტანკები დგას. ევროკავშირის წარმომადგენლებს ჩემთან გულწრფელ საუბრებში არაერთხელ უთქვამთ, სანამ რეგიონში ასეთი გეოპოლიტიკური სურათია და თქვენთან რუსეთის სამხედრო ბაზებია განლაგებული, ევროკავშირში გაწევრიანებაზე არც კი იფიქროთ!

რუსეთი დღემდე რჩება გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრად ვეტოს უფლებით. მასთან დიპლომატიური ურთიერთობა, ჩვენს გარდა, არავის გაუწვევია. ამ ფონზე უტიფრობაა, როცა პეტრინსკი და მანის მისნი გვეუბნებიან, ევროკავშირში გაწევრიანებას გამჭვირვალობისა და „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონები გაშორებთო. ამ საინფორმაციო-პოლიტიკური სპეცოპერაციისთვის დიდი ძალისხმევა და თანხები იხარჯება. მათ ზურგს უმაგრებს საქართველოში მყოფი მეზუთე კოლონა, ე. წ. ოპოზიცია, რეალურად კი ანტიეროვნული ძალები. მიუხედავად ყველაფრისა, ვხედავთ, რომ ხალხი ქუჩაში მინც ვერ გამოჰყავთ, მათი რე-

სამხუხაროდ, ჩვენთან პოლიტიკური ოპოზიცია არ არსებობს

ტინგი სტატისტიკურად ნული ტოლია. პროფესიონალებთან, მათ შორის, უცხოელებთან უშუალო კონტაქტი მაქვს და როგორც ისინი მეუბნებიან, არჩევნების მერე რუსთაველის გამზირზე სამი ათასზე მეტი ადამიანი არ დაფიქსირებულა. პირადად ვიცნობ ბევრ ადამიანს, რომელიც, პირველად რომ მივიდა აქციაზე და იქ ქვების სროლა ნახა, მეორედ აღარ მისულა. თუმცა, რუსთაველზე სეირნობა გრძელდება.

2020 წლის არჩევნების მერე, თბილისში აკრედიტირებულმა დიპლომატებმა არჩევნები აღიარა და ამ ანტიეროვნულ ძალებს პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდა. 26 ოქტომბრის მერე კი სულ სხვა სურათი მივიღეთ — დასავლეთიდან განუწყვეტელი წაქეზება ისმის. ერთადერთ ლეგიტიმურ პირად პათოლოგ ზურაბიშვილს

რუსთაველის გამზირზე შემოსვლა რომ მოინდომის, იცით, რა დრო დასჭირდება? ვინმემ რომ ეცადოს ამ ტანკის გაჩერება, თბილისი 7 წუთში დაიბომბება. ამაზე პასუხს ვერ მცემენ. აი, ასეთი ვითარებაა.

საბუნდუნოდ, ქვეყნის შიგნით პროტესტს მასშტაბური ხასიათი არ აქვს. ახლანდელი ვაფიციკა რომ მოაწვევს, ავტობუსით ვმგზავრობდი, გზა გადაკეტეს და ყველა მგზავრი ძირს ჩამოვდით. იცით, რა ამბავი ატყდა? — ყველა მათ ლანძღავდა და აგინებდა. ხალხი გამწვარდა, იმანდენ, ეს უმსგავსობა როდემდე ვითმინოთ, ჩვენ როდის გამოვიდეთ გარეთ და ჩვენი ძალა დავანახოთ?! ჯანსაღ მხარეს გაცილებით მეტი ადამიანი დგას, რომელიც საქმით არის დაინტერესებული, შრომობს და ამათი რუსთაველზე სეირნობა სრულებით არ აინტერესებს. დიას,

არის გარანტია, რომ იმაზე მეტ ფულს არ იღებს, ოღონდ ახლა „ფარას“ კანონის გვერდის ავლით. იმედია, ეს ლობიზმი საქართველოსთვის მძიმე, დამაზარალებელ შედეგებს არ მოიტანს.

— თქვენ რეალური მიზეზი დაასახელეთ, რის გამოც ევროკავშირში ჩვენ მიღებას ჯერ არავინ ფიქრობს. თუმცა, რადიკალები ხალხს აქეზებენ, ევროპის კარი იკეტება, რადგან ხელისუფლება რუსეთისკენ მიგვაქანებსო. სხვათა შორის, მალე პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნება, რომელიც მათ დანაშაულებს გამოიძიებს...

— დიას, ეს აქამდეც უნდა მომხდარიყო. 2013 წელს „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებდნენ, რომ ლაფანყურის საქმე გამოძიებული იყო და საზოგადოებისთვის მალე ყველაფერს ნათელი მოე-

მერე კი სიცილით დააყოლა: რა ვუყო, როგორ ავეუკრძალო, იქ სიარულით 1600 ლარი დააგროვა და „აიფონი“ შეიძინა, ჩვენ კი ამის ყიდვის საშუალება არ გვექონდაო. ანუ, ეს ბიჭი რუსთაველზე სიარულით ფულს აკეთებდა. მისთვის ეს სტიმული იყო — ფული შეაგროვა. ძალიანაც კარგი, რომ ამ ვერაგ ძალებს ფული ეხარჯებოდათ. ამიტომ ჩემი რეკომენდაცია იქნება, გამოძიება საჯარო, დამაჯერებელი იყოს. ასევე, დასავლეთთან ინტენსიური მუშაობა საჭირო და არა გაბუტვა, წყენა, რაც პოლიტიკაში მიუღებელია. ანუ, პროაქტიური მუშაობა უნდა წარიმართოს სწორი მიმართულებით, ამ ლობიზმის საწინააღმდეგოდ.

— სამომავლოდ ახალ ოპოზიციურ ძალებს თუ ხედავთ პოლიტიკაში?

— ჯერჯერობით, ასეთი ძალა არ ჩანს. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში პოლიტიკური ოპოზიცია საერთოდ არ არსებობს. წლების წინ ჩვენთან მადლენ ოლბრაიტი იმყოფებოდა და გაოგნდა, როცა მაშინდელ ე. წ. ოპოზიციას შეხვდა. მან არ დამალა და საჯაროდ თქვა: ოპოზიცია ეროვნული ინტერესების ერთგული პოლიტიკური პარტიებისა თუ ჯგუფების ერთობას ნიშნავს, რომელიც სახელმწიფოს უსაფრთხოებას, ინტერესებს იცავსო. პოლიტიკურ ჯგუფებს, პარტიებს, რომლებიც ეროვნული ინტერესების ერთგული არ არიან, ოპოზიცია კი არა, არამედ სულ სხვა სახელი ჰქვიაო. ოლბრაიტი დიპლომატი იყო და მათ აღარ უთხრა, ქვეყნის მტრები ხართო. ესენი ანტიეროვნული ძალები არიან. არადა, ოპოზიციის გარეშე მმართველი პარტიის მუშაობა ძალიან რთულდება. ჩვენთან არის კიდევ შექმნილი კურიოზული ვითარება, როცა ბიძინა ივანიშვილი იძულებულია, საკუთარ პარტიას ოპონირება თავად გაუწიოს. ეს უიშვიათესი შემთხვევაა. ამაზე 2018 წელს, როცა პოლიტიკაში პირველად დაბრუნდა, ივანიშვილმა თავად ღიად ისაუბრა. მან პირდაპირ თქვა, „ქართული ოცნების“ კონტროლი თავად მიწვესო. ასეთი რთული ვითარებაა. საინტერესოა, რომ მმართველ ძალას არავისთვის შეუშლია ხელი, პარტია შეეჭმნა. ქვეყანაში 300-ზე მეტი პარტიაა რეგისტრირებული. თუმცა, ამ დროის განმავლობაში ოპოზიციაში ერთი ახალი სახეც არ გამოჩნდა. ისევ და ისევ ჩანან კოლექტიური გვარამები და მეღიები, ბოკუჩავები და გიორგი ვაშაძეები, ანა დოლიძეები და სამადაშვილები, ხაზარაძეები და ჯაფარიძეები, და მაკკეინის ინსტიტუტის ერთადერთი ლეგიტიმური სტიპენდიანტი — პათოლოგი ზურაბიშვილი.

აი, ასეთი სამწუხარო რეალობა გვაქვს.

თამარ შველიძე



ცნობენ. სტატისტიკურ ნულს დასავლეთის მხარდაჭერის ფონზეც ვერ ასცდნენ. ხელისუფლებას დღესაც აბრალებენ, მომიტინგეებს იჭერს, აწამებს, სასტიკად არბევსო. არადა, მსგავსი არაფერი ხდება. მზია ამაღლობელს რაც შეეხება, ყველამ ვიცით, რა სასჯელს დააკისრებდნენ, მსგავსი შეურაცხყოფა ამერიკელი პოლიციისთვის რომ მიეყენებინა.

სამწუხაროდ, ახალგაზრდებთან ამ თემაზე საუბარიც კი შეუძლებელია, მათ არაფრის მოსმენა არ უნდათ. როგორც კი ახსნა-განმარტებას იწყებ, მაშინვე გაპასუხობენ: აა, შენ ევროპა არ გინდა, რუსეთის მომხრე ხარ?! თქვენ ახსენეთ, აქციაზე ისეთი ახალგაზრდებიც დგანან, გულწრფელად რომ სჯერათ, ევროპულ მომავალს ართმევენო. არა, ესენი გულწრფელი კი არა, მოდას აყოლილი ახალგაზრდები არიან. როცა მათ ვეკითხები: როგორ ფიქრობთ, რუსულ ბაზებთან ერთად, შეიძლება ევროკავშირში საქართველოს წევრობა განიხილონ-მეთქი, პასუხად ღუმილია. დღეს ჩვენი საზღვარი დაცულია? რუსის ტანკმა

ეს ხალხი ყოველდღე მუშაობს. სწორედ მათი მეშვეობით, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოს აღმოსავლეთ ნახევარსფეროში ყველაზე სწრაფად განვითარებადი ეკონომიკა აქვს.

მინდა გითხრათ, რომ ხუთი ფაქტორი არსებობს იმისა, რომ ხელისუფლება რეკოლუციური გზით გადაადგოდ. აქედან საქართველოში მხოლოდ ერთია სახეზე — გარე ძალების ჩარევა, დანარჩენი — ფისკალური პოლიტიკა, ეკონომიკა, ელიტებში განხეთქილება აქ არ არსებობს. უცხოეთში სხვადასხვა დონეზე გაკეთებული განცხადებები ცარიელ სიტყვებად რჩება. პიროვნული სანქციებითაც ვერაფერს დაგვაკლებენ. დასავლეთთან მოთმინება, სიფრთხილე, ინტენსიური მუშაობა საჭირო. ნახეთ, რა დღეშია რადიკალური ოპოზიციის ლობიზტი, არაკაცი უილსონი, რომელიც თავისი ქცევით ჟირინოვსკიზე უარესი გამოდგა. ასეთი დაბალი დონის მდაბიო, კაპიტოლიუმის შენობაში არც უნდა შეუშვა. „ფარას“ კანონიდან ჩანს, რომ იგი ჯერ კიდევ აპრილში, კვებრაშვილისგან იღებდა ფულს. სად

ფინებოდა, თუმცა ასე არ მოხდა. მმართველმა ძალამ არაერთხელ აღნიშნა ისიც, რომ 2008 წელს ნაცებმა სამშობლოს უღალატეს. ამის შესახებ დოკუმენტური წიგნი მაქვს დაწერილი, სადაც მოყვანილი ფაქტების, დოკუმენტების გაპროტესტება ვერცერთმა ნაცმა ვერ გაბედა. ეს წიგნი საკმარისზე მეტი მტკიცებულებაა იმისთვის, რომ ამ საქმის გამოძიება დაიწყო. „ქართული ოცნების“ ლიდერები წლებია, ნაცების მიერ ჩადენილ ღალატზე საუბრობენ, თუმცა ამის გამოძიება არ ხდება. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. სამწუხაროდ, ბევრი მნიშვნელოვანი მოწამე ცოცხალი აღარ არის, მაგრამ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა მისასალმებელია, რადგან იმ ახალგაზრდობამ, ვინც მოდას აყოლილა და რუსთაველზე დგას, ასევე სხვებმაც, არ იციან, სააკაშვილის რეჟიმის დროს ქვეყანაში რა ხდებოდა.

ჩემი შორეული ნაცნობი ძალიან ბრაზობდა, რომ მის არასრულწლოვან ვაჟს ვერაფრით გააგებინა, აქციაზე არ წასულიყო, — მაინც რუსთაველზე გარბისო.

სოცხლად გავლარი უსამშობლო „დისიდენტები“

რომელმა ცნობილმა პიროვნებამ თქვა, არ მასხვოს, მაგრამ ნამდვილად ასეა — პროპაგანდა კი არ აქცევს ადამიანებს იდიოტებად, ის თავიდანვე მათზე გათვლილი.

საქართველოს საბუნდევროდ, საქართველოში არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი რაოდენობის იდიოტი, შესაბამისად, ლორა თორნტონს (არა მხოლოდ მას!) იმედები გაუცრუვდა, დაგეგმილი სისხლიანი რევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება ვერ შედგა!

ამდენჯერ ამდენი ძალისხმევა ასე გაბმით და შედეგი — ნული? არ გაპართლა ლორა თორნტონისა და პიტერ აკრემანის დიდაქტიკამ, მაგრამ ნეტავ რატომ?

თორნტონის „შედეგი“ წაკითხული მქონდა და ახლა აკრემანმა დამაინტერესა, სახელმძღვანელოდ რა სახის იდიოტობა დაუტოვეს ერთობლივად ამ „იდიოტებს“ ასეთი და იბულებული გავხდი, მისთვის გადამქედა.

ტირანის დასამარცხებლად 11 საზიანო მეთოდი ყოფილა იმისთვის, რომ ტირანიულ მმართველობას გაუჭირდეს კონტროლის შენარჩუნება. ერთი თვალის გადავლებითაც ნათელი გახდა, რომ ჩვენი გამოკვეთილი აქტიური მომიტინგეები და გამოქვეყნებული ერთად პირდაპირი მათი მხარდამჭერები

პუნქტი მყისიერად შევასრულე, საჯარო სამსახურიდან გამათავისუფლესო, — გულისხმობენ პეტიციები ანუ ხელმოწერას. მაშასადამე, სახელმწიფომ უნდა უხადოს ხელფასი პირებს, რომლებიც მის დამხობას ლაპობენ, — სწორედ ამას ნათქვამი, ტენის უქონლობის საუკეთესო კომპენსაცია „ნავლობა“...

ყველაზე სახალისოდ მე-4 და მე-6 პუნქტები მეჩვენა — წარმოიდგინე, მაგალითად, როგორ შეწყვეტა ჭყონიამ კოკა-კოლას წარმოება და რუსეთი მის გარეშე დატოვა. საითათოდ რა ჩამოთვლის „კრებსით ჭყონიებს“. აქ სხვა რამ არის მთავარი — მსხვილი ბიზნესების უდიდესი ნაწილი ნაციონალებს მიტმანნილი ბიზნესმენების ხელშია, მაგრამ თავიანთ ფულს ნამდვილად არ ურჩევნიან „ნაცსექტა“. წარსულში, უფრო სულაც არ უხაროდათ ნაცმოს „შემწირველად“ გახდომა, მაგრამ სისხლის სამართლის იმდენი საქმე აქვთ ერთად ჩდენილი, ერთმანეთს ვეღარ მოსწყდებიან...

მე-7 პუნქტი ერთგვარად „აღასრულეს“ ე. წ. ხელოვნებმა და 2008 წელს შექმნილი თეატრალური პრემია „დურუჯი“ ბიზნესმენ ლამა პაპაშვილს დაუბრუნეს.

ბატონ პაპაშვილზე — ახია!

ხოლო „დიდ ხელოვნების“ მხრიდან ამ ჯილდოს დაბრუნება

ხურების მიმართ;

5. მიზანმიმართული არაფეექტიანი მუშაობა და შერჩევითი უარი აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე;

6. მწარმოებლების ბოიკოტი;

7. უარის თქმა პონორარებსა და გადასახადების გადახდაზე;

8. გაფიცვები (გაფიცვა სამსახურების მიხედვით, სამუშაოების ეტაპობრივად შეჩერება);

9. სამუშაოს შეწყვეტა ეკონომიკური მიზეზების გამო (როდესაც დასაქმებულები და დამსაქმებლები ერთდროულად წვევტენ სამუშაოს);

10. მჯდომარე აქცია (სამუშაო ადგილის დატოვებაზე უარის თქმა);

11. ადმინისტრაციული სისტემის გადატვირთვა.

სახელმძღვანელოს მე-2 თავი იმ ხუთი იდეის გაცნობისთვის მიუძღვნა აკრემანს, რომლებიც აუცილებლად უნდა იცოდნენ დისიდენტებმა.

ბიჯო, რა „დისიდენტებმა“! დისიდენტობა არ არსებობს იქ, სადაც არსებობს რელიგიური და პოლიტიკური პლურალიზმი, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება და შემწვანებლობა და „ოცნების ხელისუფლების“ ხელში რა ჩემი ფეხების დისიდენტები არიან ეს უწიგნური უსამშობლოები? საბჭოთა კავშირში დაიკარგა დისიდენტობის ცნება, გორბაჩოვმა რომ „პერუსტროიკა“ და „პლურალიზმი“ გამოაცხადა და ესენი რომელ ნაფთალიანთან ტომსიკაში ჩარჩნენ...

კარგი, ჩარჩნენ დისიდენტურ უკუნში, მაგრამ ის ხუთი იდეა ყველა დროების ყოფილა და აბა, ვნახოთ, რა ყოფილა:

1. დისიდენტებმა იმედი უნდა იპოვონ ისტორიულ ფაქტებში, რომ ისინი მიდიან იმ გზით, რომელიც ბევრმა გაიარა მანამდე და ბევრიც გაივლის მომავალში;

2. დისიდენტებმა უნდა გააცნობიერონ, რომ არ არსებობს კონფლიქტში ისეთი გარემოებები, რაც წინასწარ გაწინააღმდეგება მათ წარუმატებლობისთვის;

3. ძალადობრივ ტაქტიკაზე დაფუძნებულ სტრატეგიებს წარმატების დაბალი შანსი აქვთ, რადგან მათი გზა გამარჯვებისკენ შეზღუდული რაოდენობისაა. ძალადობრივი ტაქტიკის უარყოფა და არაძალადობრივი დისციპლინის შენარჩუნება ქმნის გამარჯვების მეტ შესაძლებლობას;

4. სამოქალაქო წინააღმდეგობის კამპანია არის ყველაზე ეფექტიანი მამოძრავებელი ძალა დემოკრატიისთვის;

5. ყველაზე მთავარი, რაც დისიდენტებს შეუძლიათ თავიანთი შანსების გასაუმჯობესებლად და წარმატებისთვის გააკეთონ, არის ის, რომ განაუთარონ ორგანიზებისთვის აუცილებელი უნარები, შეძლონ მობილიზება და წინააღმდეგობის გაწევა ავტორიტარული ოპონენტებისთვის.

გაპ. პირველივე პუნქტში გაჭედლან!

უსამშობლოთა ეს ნაკრები, 2012 წლიდან ცოცხლად მკვდარი დისიდენტები არიან! მას შემდეგ, რაც მათ პატრონებს ეჭვი შეუპარათ საკუთარ გათვლებში, რომ „ქართული ოცნება“ მათი ისეთივე ყურმობილი ყმა იქნებოდა, როგორც სააკაშვილის



გლახაკ ბოგანოთა ნაკრები ხელისუფლება იყო, საკუთარი ძალებითა და ფინანსებით აღზვევული ტექტიების რეანიმაციის პროცესი დაიწყო. უპატრონობის პატრონებმა კვლავ ვერ გათვალეს, რადგან დრომ მათ საწინააღმდეგოდ იმუშავა, ხანგრძლივმა და განუწყვეტელმა ტენის გადახურებამ ისინიც ჩამოწერა, ტრაფარეტული აზროვნებიდან ახალზე ვეღარ გადაქცევენ.

2012 წლიდან 2024 წლამდე უსამშობლოების მყიდველებმა ვერ შექმნეს რაიმე კონცეფციისმაგვარი მაინც, რომ უსამშობლოებს რამე ახალი, ხელისუფლებისგან განსხვავებული შეთავაზებინათ ხალხისთვის, პირიქით ისიც კი დააფიცვდათ, რა ცრუ დაპირებების კალათაც პქონდათ, საერთოდ არ გახსენებიათ ხალხი თუნდაც ამომრჩევლის სტატუსით და თუნდაც მხოლოდ სამშობლოდ. მიზეზი მარტივია, იცოდნენ, რომ ყველანაირი ძალისხმევის მიუხედავად, არჩევნებს მაინც წააგებდნენ, ამიტომ მთელი ძალისხმევა გარედან თავსმოხვეული და გარედანვე დაფინანსებული მორიგი ფერადი რევოლუციისკენ მიმართეს. ჰოპ, და ისიც ჩაუვარდათ!

„პირველივე პუნქტში გაჭედვა“ ორმაგი დატვირთვით ვთქვი — ისტორიულ ფაქტებში ნაპოვნი იმედი რევოლუციის მოხდენა ვინ გაიგონა!

კარგი, ვთქვათ, „გაიგონა“, ბოლო-ბოლო ე. წ. „ვარდების რევოლუცია“ ჩვენი გვერდს და ეშმაკმა უწყის, სად რა დაარქვეს იგვე გამოქლიავებას, მაგრამ ისიც ხომ ისტორიული ფაქტია, რომ ასე ვერ გამოაქლიავეს, ვთქვათ, ჩვენს სამეზობლოში, აზერბაიჯანში 2005 წელს, როგორც „იმპორტი“ საქართველოდან, სომხეთში, რუსეთსა და თურქეთში. ვერ გამოაქლიავეს ვერც ვეროპაში, აზიაში, ან სულაც, ვენესუელაში. ბელარუსი, ჩინეთი, ირანი, უზბეკეთი, უნგრეთი, — ყველა არ გამახსენდება უცბად, ან რა მნიშვნელობა აქვს, რაც გამახსენდა, ისიც საკმარისია „გასაგონად“.

რა ეტაპზე არიან, უკვე თვითონაც არ იციან. დადიან აღმა-დაღმა ერთი და იგივე სახეები, ირქმევენ სხვადასხვა სახელებს და ვითომ აკრემანის „დაბარებულის“ მე-8 პუნქტი სრულდება, არადა, სამიოდე დღის წინათ მოსახლეობამ კვერცხები დაუშინა მათ მცირერიცხოვან ფართხალს.

საინტერესოა, როდემდე უნდა იარონ ასე, შაბათის გლახებზე, მუნიციპალურ არჩევნებამდე?

შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ კი გრძელდება. სადაც ხელი მიუწვდებათ, ყველგან „დანო-



სებს“ წერენ, რომ საქართველოს რამე დაუშეგონ — ძალი ყვეფს, ქარაგანი მიდის...

საიქოს ბინადარი აკრემანის ყველგასული მეთოდები და არაადეკვატური თორნტონის ინსტრუქციები ამოტრიალებულია, სეტყვად აპირებდნენ მოსვლას და ისეთი „ქვა“ დახვდათ „ქართული ოცნებისა“ და ქართველი ხალხის სახით რომ თვითონვე დაისეტყვენ.

ფაქტია, რომ საქართველოში მორიგი „ფერადი რევოლუცია“ ჩავარდა, დანარჩენი გზადაგზა გამოჩნდება, როდესაც დასავლეთში ცვლილება ცვლილებაზე წაქეზობა, რაც დაიწყო კიდევ და ძალზე უცნაურად: ვერმანისა და ნიდერლანდების მთავრობები ჩამოშლილია; საფრანკეთში სამთავრობო კრიზისია; ესპანეთი ბიუჯეტის დაძვინტევაში გაიჭედა; ბულგარია საერთოდ დაეკარგა მთავრობა; ავსტრიის კანცლერი გადადგა და ფხვდაფხვ კანადისა მიჰყვა; ბულგარეთში ახალ არჩევნებს ელოდებიან და ა. შ. ძალი პატრონს ვერ ცნობს კრებისით დასავლეთში, საქართველოს „კეთილდღეობაზე“ ზრუნვაში კი თვალები ამოუღამდათ მათ ძალისხმევას რომ ვუყურებ, ფანტაზია არ მყოფნის წარმოიდგინო, რამხელა პირადი შემოსავალი ეკარგება თითოეულ თავგამოდებულს, რა თქმა უნდა, გამოქლიავებული ქართველი ნაცმანას გამოკლებით.

იმედია, ვისაც ეტება, ისინი გაითვალისწინებენ იმ ცალკეულ პირთა და პირთა ჯგუფების გამოხდომებსაც, რასაც უსამშობლოების დამხმარედ მათივე ხელმძღვანელები თვლიან და ასრულებენ: საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, დიასპორა, უნივერსიტეტები და სტუდენტური ჯგუფები, ტრანსნაციონალური სოლიდარობის ქსელები, ინდივიდუალური მონაწილეები, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატები, ცნობილი უფლებადამცველები და ფინანსისტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, კორპორაციები, სხვა ქვეყნების მთავრობები, ტრანსნაციონალური შრომითი ორგანიზაციები, კავშირები; მედიორგანიზაციები, ადგილობრივი მედიები (რომლებიც საპროტესტო აქციებს აშუქებენ), ოპოზიციური პარტიები, აქტივისტები, მხარდამჭერები და სხვა. მათი მხარდაჭერის შესახებ არ იციან საპროტესტო მოძრაობის წევრებმა.

ჯერი ქართულ ოცნებაზე, თუ როგორ შესრულდეს „ქართული ოცნება“ დანაპირებს და კიდევ როგორ გამოიღებს ფხას.

აიაა ჭაქლიძე



ითვითვე გაწინააღმდეგები იყვნენ.

საქმე ის არის, რომ, როგორც ჩანს, 11-დან პირველი ორი პუნქტი პქონდათ წაკითხული, დანარჩენის წასაკითხად ან ნერვები აღარ ყვოთ, ან წაკითხეს, მაგრამ ვერ გაიგეს, რა ქწერა და რატომ, — სხვა აზრის გამოტანა შეუძლებელია. პოდა, ამ 11 პუნქტის შემსრულებელი ვინც იყო, ვინც დააპირა მამლის პირველ დაყოფებამდე ღალატი, იმანაც უკანვე დაიწყო საკუთარი გადაფურთხებულის ალოკვა, მაგრამ არ გაუვიდათ ვც ნომერი კრებით დურუ ხუნჭუებს, ვერაფერ დაარწმუნეს, რომ გადაამფურთხებლების ოჯახის წევრები მასობრივად დატოვდნენ და ანტიხელმწიფოებრივი ქმედებები მათი სახელით დაიწყეს.

როგორც ჩანს, ამან გაუჩინათ სახკვების ობიექტებში საკვებში ჩაფურთხების იდეა — ცხადია, ტანმა ვერ უგრძნოთ რაიმე, მხოლოდ აღქმებში გაიხარეს, რადგან ტენიში არსებული შედეგების ნივთიერება მხოლოდ სიცარიელის ამოსაყვებად აქვთ.

მეორე კატეგორიამ წუწყუნ დაიწყო, იმის გამო, რომ ანტიხელმწიფოებრივი საქმიანობის პირველი

პროტესტი კი არა, ღირსეული საქციელია, — არ ეკუთვნოდათ და დაბრუნეს!

„დიდი ხელოვნების“ ვინაობასაც მოგახსენებთ დავით გაბუნია, მიხეილ ჩარკვიანი, სანდრო ნიკოლაძე, ვია სურმაგა, თორნიკე გოგრიჭიანი, დათა თავაძე, ნატუკა კახიძე, ალექს ჩიღვინაძე, თამთა მელაშვილი, ქეთა შათირიშვილი, დათო საყვარელიძე, ლამა ბუღაძე, კახა კინწურაშვილი, თამრი ოხიკიანი, გეგა გაგნიძე, პაატა ციკოლია, ოთარ ქათამაძე, ნინო კასრაძე, ნანკა კალატოზიშვილი.

რა საყვარლები არიან — რა თანხაც პრემიასთან ერთად ავიღეთ, იმას შევგაროვებთ და გაფიცული კოლეგების დახმარების ფონდში ჩაერიცხავთო. გაფიცულები სად არიან, თუ მათი ფონდი აქვთ არ ვიცი...

აგერ, გაახლებთ 11-ევე მეთოდს და თქვენ არკვიეთ

1. ჯგუფური და მასობრივი პეტციები;

2. დემონსტრანტების პროტესტი და მხარდაჭერა;

3. სოციალური ინსტიტუტებიდან გამოსვლა;

4. მომხმარებელთა ბოიკოტი გარკვეული საქონლისა და მომსა-

მას შემდეგ, რაც იმის მომსწრე გავხდი, რა როლიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში ხალხმა შეასრულა, დიდი ეჭვი ჩაბუდდა ჩემში, რომ საქართველო ვერასდროს გახდება დამოუკიდებელი მანამ, სანამ ხალხს თვითონ არ გაუჩნდება იმის შინაგანი მოთხოვნა, რომ იყოს თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქე.

რანაირად უნდა გაუჩნდეს, ან რა გაუჩნდეს? — რა და, განათლება! თაობებს, რომელთაც საკუთარი სამშობლოსთვის „სამშობლოდ“ მოსახსენიებლად ენა ვეღარ უტრიალდებათ, განზოგადებულად „ქვეყანად“ მოიხსენიებენ, „რადაც ქვეყნის“ დამოუკიდებლობისთვის საბრძოლველად ვერ ანთებ!

თაობებს, რომლებსაც ცნება „პატრიოტიზმზე“ წარმოდგენა არ აქვთ, თუ არ განუვითარებ, არც არასდროს გაუჩნდებათ!

ცნებები „გმირი“ და „გმირობა“ ისე გაუფასურდა, ამ სიტყვების აღრეულად მოქმედების ნაცვლად,

ბა იყო საჭირო. პასუხად მიიღო, უკაცრავად, მაგრამ სამინისტროს ფინანსები არ აქვსო. ამით კითხვაც არ სცოდნიათო, — სიმწრით იღი-მოდა რამაზი.

ვიღაც რომ რაღაცას ვერ გაიგებს და შეუძახებენ, ყოფი ხარო, ამას რატომ ვეკითხებით, როცა ვიცით, რომ სმენადაქვეითებული არ არის?

რეალურად ასეა, თუ მსმენელის ტვინი ვერ ან არ გადახარშავს ნათქვამს, მაშასადამე, მას პრობლემა აქვს ტვინში, მაგრამ მესამე ვარიანტიც არის, — რომ ყურმა მშვენიერად გაიგონა ნათქვამი და ტვინმაც გადახარშა, მაგრამ ვერ შეისმინა. საქმე ის არის, რომ მას სხვაგვარა შეხედულება აქვს და არ ეთანხმება თქვენგან გაგონილს, მან თქვენზე ავტორიტერული პირისგან თქვენამდე უკვე სხვანაირად

ვისცემამ ადრეულ წლებში ამიხილა თვალს და ვისწავლე, რომ არ უნდა აუყვებ „ნებისმიერ ვიგინდა-რას“, რომელსაც ჩემი გამოჩენი-ტემა აქვს მიზნად, რადგან გამოსა-ყენებლად ვჭირდები. დასჭირდება? — სულად გამომიყენებს, დასჭირდება — საზარბაზნე ხორცად.


მოკლედ, ვისაც ტვინი არ გათიშვია, ჯანმრთელი კავშირი აქვს მის ამ სამ ორგანოს, ყურს, თვალს, ტვინს ერთმანეთთან და შესაბამისად, მისი ტვინი ვერ გამორეცხვს, მისთვის ახალს და დაფარულს არაფერს ვამბობ...

ადოლფ ჰიტლერის ორატორული ხელოვნება სწორედ ყურზე იყო გათვლილი. მისი მგზნებარე გამოსვლები ისეთი მუხტის იყო, რომ მსმენელის ფიქრებს აზნობდა, სასწაულ ემოციებს იწვევდა. ასე და ამის გამო აპყვა თავისადანუხე-

ნაცისტური მოძრაობა და ქართული „ნაციმო“ ერთმანეთს...

ნაციისტური მოძრაობის დარსებისთანავე ახალგაზრდული მოძრაობის შექმნა უმნიშვნელოვანესად მიაჩნდა ჰიტლერს. „პიტლერიუგენდის“ შექმნა ოფიციალურად გამოცხადდა. ორგანიზაციის წევრები მხოლოდ 10-იდან 18 წლამდე ვაჟები უნდა ყოფილიყვნენ. ისინი თავს ესმოდნენ და არბევდნენ ებრაელებს, ფიზიკურად უსწორდებოდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს, უპირველესად კი კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს. ყველა მათგანს ტყუილად არ ჰქონდა დანა... ამ ახალგაზრდებმა ჩარეცხეს თომას მანი, ჰაინრიხ ჰაინე, ბერტოლდ ბრეხტი და ა. შ. — მათი წიგნები საჯაროდ დაწვეს...

„ჩვენ უნდა მივცეთ მათ ის, რასაც სხვაგან ვერ მიიღებენ“, —



მიწოდებულ ინფორმაციას მათი ტვინი. ვინაიდან ქალს ყურით უყვარდება, ხოლო კაცს თვალთ, მარტვი ლოგოკით ასე გამოდის, რომ ყურს აყოლილი კაცი მნიშ-

ბრბო გლედრობითი სქესისაა



მე მიჩნდება ძლიერი უხერხულობის გრძობა...

საკუთარი სამშობლოს ისტორია, სამშობლოსთვის თავდადებული გმირების ვინაობა და ქართველი ლიტერატურული პერსონაჟებიც კი, ზოგადად, ქართული ხელოვნება, ისეა სადღაც თვალს-მოფარებული, ხელისცეცებითადა თუ იბოვის დაინტერესებული ადამიანი.

როგორც ვხედავ, სახელმწიფო დონეზე არაფერს ცდილობს, ახლა მაინც მიიღოს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება და ჩამყავებულ განათლების სისტემას მიხედოს, რომელიც ვერასოდეს ამოვა ამ წუძქვადან, სანამ დასავლური დიქტატისგან არ გამოვა, რასაც სასკოლო ასაკის მშობლებისთვის განუძარტავი მნიშვნელობის სახელი — „ბოლონის პროცესი“ ჰქვია. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ იმათაც არ იცინან, რაში აქვს თავი გაყოფილი საქართველოს განათლების სისტემას, ვინც უნდა იცოდეს. თუ ასე არ არის, მაშასადამე, სახელმწიფო პოლიტიკა ყოფილა საქართველოში გაუნათლებლობის დამკვიდრება და იმხელა ვაჟკაცობა მაინც გამოიჩინონ, რომ პირდაპირ გვითხრან ...

ამას რა დამავიწყებს! ბატონმა რამაზ იოსელიანმა 2016 წელს განათლების მინისტრს იდეა მისწერა, რომელიც დაფინანსებას არ საჭიროებდა, მხოლოდ თანხმობ-

შეითვისა ის, რასაც თქვენ ეუბნებით, ამიტომ ის თქვენსას არ და აღარ შეიმეცნება.

ქართული სიტყვა-თქმები გამახსენდა, „ქალს ყურით უყვარდება“ და „თვალი ჭამს და თვალი სვამსო“. თანამედროვეობას რომ მივუსადაგოთ, პირველ შემთხვევაში ქალი ბრძოლებსა საუბრით, მეორე შემთხვევაში კი ქალიც ბრძოლებსა და კაციც, ხოლო ამ ორივეს შერწყმის შემთხვევაში, ვიღებთ რეკლამას და მისგან გაბრიყვებას — ელემენტარულია, რაც კარგია, იმის მტკიცება არ სჭირდება, რომ კარგია.

„ჩემი ყურით მოვისმინე“ და „ჩემი თვალთ დავინახე“, ამიტომ უნდა დაიჯერო! — ეს მოცემულობა, ჩემთვის ისეთი არადაამაჯერებელი მტკიცებულებებია, რომ არაფრად ვაგდებ — ელემენტარულია, ითამაშებს პირი, დამანახებს და მომასმენინებს იმას, რაც მას სათავისოდ წაადგება, მე კი „წამოიკიდეგს“, ანუ გამაბრყვებს.

ჩემს ბავშვობაში ტელერეკლამები არ იყო, ზეპირად გადმოცემოდა სიტყვიერი რეკლამები, — რისამე დადებითი კუთხით წარმოჩენა და ანტირეკლამა — ჭორაობა, რაც დღეს დეზინფორმაციაა...

კარლო ჯორჯანელი ჩემი გერმანული ენის ლექტორი იყო. მის შესახებ არანაირი საქებარი სიტყვა არ მენახება, მაგრამ ამჯერად სხვა რამ მინდა ვთქვა — მისადმი პატი-

რად გერმანელი ერი მის განდიდების მანიას. ავსტრიელმა პროინციელმა ყურებით დაიჭირა და დაიპყრო გერმანელი ხალხი, მიუღი ვეროპა მიაყოლა და მაღა ჭამაში მოუვიდა — საბჭოთა კავშირში არ იყვნენ მისი იდეების მიმდევრები?

ჰიტლერის მგზნებარე გამოსვლები ახალგაზრდობაზე იყო გათვლილი და დაუფარავად ამბობდა კიდევ, რომ უნდა აღეზარდათ ისეთი ახალგაზრდობა, რომლის წინაშეც მსოფლიო შემდგომდებოდა. ახალგაზრდობა მომავალ და, შესაბამისად, მზარდ ძალას წარმოადგენს, რომელიც უკვე შემდეგ თვითონ ზრდის მის მომდევნო თაობებს, თორემ სხვა მხრივ, ვისაც ტვინში ის უბანი აქვს გათიშული, რომელიც მოსმენილის გააზრებაზე პასუხისმგებელი, მოსმენილით მის გამოჩენილებას რა უნდა ნებისმიერ ასაკში... სწორედ ამიტომ დაგვცინა გიგი თევზაძემ, ისე მოგპარეთ თაობები, ვერ გაიგეთო...

რაც დღეს აკერძანის სახელმძღვანელოთი მოქმედი და გამოსოროსეული ბრბოა თავიანთი უსამშობლო პროფესორ-მასწავლებლებიანად, ის იყო ავსტრიელი ჰიტლერის გერმანული „პიტლერიუგენდი“ და ფაშისტი სამხედრო დამნაშავეები, სხვა არაფერი!

ნაციისტური გერმანიის ხელმძღვანელთა დახლოებით ოთხათასიანი კასტიდან 1050 მეცნიერებათა დოქტორი იყო, 225 — საპატიო დოქტორი, 21 — ორგზის დოქტორი, 350 — პროფესორი, 116 — საიდუმლო მრჩეველი, 2 — ნობელის პრემიის ლაურეატი... მხოლოდ 30 კაცი იყო უმაღლესი განათლების გარეშე, მათ შორის, ჰიტლერი. ფაშისტი ინტელიგენცია ნამდვილად დოქტორ-პროფესორები მაინც იყვნენ, ქართველი ლიბერალ-ფაშისტების მასწავლებლები ორლობიდან გამომდგრალები რომ არიან, ეს ცალკე უბედურებაა — ძაღლი „საბაკა“ რომ იყოს, არ მინდაო, ამას რომ ლექტორი ქალი იტყვის, მის მიერ „განათლებული“ ახალგაზრდა მხოლოდ „ხლაპუშკების რევოლუციაში“ თუ ფარგებს, ისიც „მასოკაში“, თორემ სხვა რა უნდა მოჰკითხო...

ყველაფრით როგორ ჰგავს ერთმანეთს ფაშისტური „ნაციმო“ —

ასეთი იყო ხაზი და მართლაც, ყველანაირად ზრუნავდნენ მათ კეთილდღეობაზე გართობისა და დასვენების ჩართვით შესაბამისად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ერთიანდებოდნენ მოზარდები იმ ფაშისტურ ინკუბატორში, განსაკუთრებით, საშუალო და ღარიბი ფენის ოჯახებიდან.

ბევრად რომ აღარ განგურცო, მოკლედ ასეა, ქართული „ახალგაზრდული ფაშისტური დაჯგუფების“ წევრმა, რომელიც 14 წლის არის, ფაშისტისა და ფაშისტების გმობის ნიადავზე უმძიმესი ჭრილობები მიაყენა 16 წლის მოზარდს! 14 წლის არის, ბავშვიანო, ვიტყვიო. ასაკიდან გამომდინარე და ასაკობრივად მართლაც ბავშვია, მოზარდია, მაგრამ უკვე მოწამულია ლიბერალური ფაშისტით ამ ბავშვის ტვინი, მისგან უსისხლო მკვლეელი შექმნეს...

როგორც ითქვა, ცნობილია ამ ჯგუფის ხუთი წევრი, ოთხი ბიჭი და ერთი გოგო — ამ ბავშვებს მშობლები თუ არა, ვინმე, მოკეთ-გულისშემატკეავარი მაინც არ ჰყავთ? ისინი ხომ იგვიყენი არიან, აქციის დღეებში სამართალდამცეებისკენ საკუთარ უწლოვან შვილებს რომ აგზავნიდნენ და აქეზებდნენ „მიდი, მამიკო, ესროლიო“, ან სამართალდამცეებს ლექციას რომ უკითხავდა პირზე რძემუშშშრალი ლაწირაკი და უსამშობლო ყურნა-ლისტები ბავშვს ადიდებდნენ, პიროვნებად გამოჰყავდათ...

ამ ბავშვების ტრაგედიაში და ზოგადად, იმაში, რაც ამ თვეებისა თუ წლების განმავლობაში ხდება, ერთადერთი დამნაშავე „ოცნების“ ხელისუფლებაა, კანონის უზენაესობის ფეხქვეშ გათვლების, სამართალისა და სამართლიანობაში ორმაგი სტანდარტის დაცვის გამო! სისხლის სამართლის დამნაშავეები პარლამენტის არჩეულ წევრებად ჰყავთ, რომლებიც იქით ახვეწინებენ, პარლამენტში არ შედიან, ამით კი იმუნიტეტის მოხსნის საკითხიც ვერ დაუყენებიათ!...

ჩვენს სამყაროში არსებობს ორი სქესი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ბევრათა და სიტყვათა წყობა ერთნაირად ესმის ორივე სქესის ყურს, სხვადასხვაგვარად აღიქვამს სმენის ორგანოების მიერ

ნელვანწილად, ქალური ბუნებისაა...

როდესაც ტვინი გამორეცხილია და ყურისა და ენის ამარა არიან დარჩენილები, ვიღებთ ყველანაირი ბარიერის წამლეკავ ბრბოს, რაც წინ დაუხვდება, არ აქვს მნიშვნელობა, რა სახის ბარიერი იქნება — მატერიალური თუ ზნეობრივი.

ნიურნბერგის პროცესზე ფრანკი გერმანულ ხალხს სდებდა ბრალს: „გერმანელი ხალხი მეძავი დედაკაცია. იგი ეძლევა ყველას, ვინც ამის აუცილებლობას შთაგონებს. ჰიტლერს კი არ გაუუპატიურებია ის, ხალხი თვითონ მიხვება ცდუნებასო...“

აი, სად მოხდა ჩემი და ფრანკის აზრების გადაკვეთა!

ფრანკმა გერმანული ენის გრამატიკაში ცვლილება შეიტანა, „ხალხი“ საშუალო სქესის das Volk კი არ არის, არამედ მდებარეობითი სქესისა და ამგვარად უნდა იწერებოდეს die Volk...

ფრანკის ფოტოს დავხედე — მეგის ქარდავა მეგონა... არ წავაწერე ფოტოს, ვინ იყო მასზე გამოსახული და თქვენც ხომ მეგის ქარდავა გეგონათ?

ყველაფერს ეშველება, მაგრამ იმას რა ეშველება, ტრამპის გადამკიდე, ჰედერასტობა და ტრანსგენდერობა რომ აღარ იქნება მოდამი, არ ვიცი...

უმთავრესი კი ის არის, რომ დღევანდელი უსახური ქართული ტელევიზიები იმ „მოდის“ კვალ-დაკვალ მიჩანჩალებენ, საკუთარი პროლექცია ვერ შეუქმნიათ ისინი, ვინც შექმნა, დღემდე მშვენიერად ამართლებენ გეგელის სიტყვებს: მომეცით მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და ნებისმიერი ერისგან გაუკეთებ ღორების კოლტსო. მათ გააკეთეს, „ოცნება“ კი ვერ აკეთებს, რადგან, როგორც ყველგან, ტელევიზიებშიც ისინი არიან ჩაბუდებულები, ერთხელ რომ დაიკავენ ეს ნიშა და ნიჭიერად ადამიანებს გზას უღობავენ...

ბრბოს, რომელსაც გაურკვეველი მიზეზით რუსთაველის პროსპექტზე საპრეტოტესტოდ გამოსულს ვხედავდი და მათაც,

საქართველო პოლიტიკურ არეაგედონს უნდა გადაურჩეს



გვესაუბრება სასამართლო სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლოზიძე:

— ქალბატონო მაია, არჩევნების გაყვალბებასთან დაკავშირებით გამოძიებამ 400-მდე პირი გამოკითხა, თუმცა მათ მტკიცებულებები ვერ წარადგინეს. მიუხედავად ამისა, დასავლეთი ხელისუფლებას არალეგიტიმურად აცხადებს და საერთაშორისო თანამეგობრობას მთავრობის წევრებისთვის ხელის ჩამორთმევასაც უკრძალავს. რა პროცესთან გვაქვს საქმე?

— არჩევნების შემდეგ ლეგიტიმაციის ეჭვქვეშ დაყენება, ჩვეულებრივი ტექნოლოგიაა, მით უმეტეს, რომ დასავლეთს ამ ყველაფერში საკმარისი დიდი ფული აქვს გადახდილი. პარალელურად, დაკავშირებით უკრაინასა და საქართველოში — ნეოლიბერალებისა და ნეოკონების მოქმედებებს. აქაც და უკრაინაშიც უზომო თანხის გათვრება მოხდა. ამიტომ ხელისუფლების მიმართ დასავლეთის კრიტიკა არ მიკვირს. ჯერ კიდევ 2020 წლის არჩევნებზე, ტელევიზიაში ერთ-ერთ ოპოზიციონერს შევხვდი, რომელიც ამტკიცებდა: „ქართულმა ოცნებამ“ 100%-ითაც რომ გაიმარჯვოს, ლეგიტიმაციას მაინც ვერ მიიღებს, ერთი და იგივე ხელისუფლების მესამედ არჩევა ვის გაუგებო. ახლაც იგივე სქემა მუშაობს. 2020 წელს საქმეში მარლ მიშელი ჩართეს. მაშინ ლიბერალური სამყარო ასე გათავხედებული არ იყო, ახლა გადამწარებული არიან. მარლმიშელიადაში ვინც ფული ჩადო, რამდენი გაათეთრა, წარმოგიდგინათ?! ევროპიურორატიაც წილში იყო. აი, ასე ცხოვრობდა სამყარო. ახლა წესები იცვლება, ანუ ინერგვა. კორუფციამ კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია. უკრაინასთან დაკავშირებით ამის შესახებ ვიცოდით. აღმოჩნდა, რომ დასავლეთთან ჩვენი ოპოზიციონერი ბობოლებების კავშირი საკმაოდ ძლიერია. დასავლეთი იმდე-

ნად გათავხედდა, რომ ნჯო-ებისა და პარტიების სახით აქ ჯაშუშური ქსელი აქვს, რამაც უზარმაზარ თანხებს იხდის. დიას, წინანდებურად, ეს პარტიები, ნჯო-ები თავის საფარქვეშ კი არ ჰყავს, მათგან პირდაპირ ლეგალური ჯაშუშური ქსელი აქვს შექმნილი.

პირველი მსოფლიო ომის დროს ანალოგიური სტამბულში ხდებოდა, იქ ყველა ჯურის ჯაშუშში იმყოფებოდა. სამწუხაროდ, დღეს იგივე საქართველოში ხდება, ოღონდ აბსოლუტურად ლეგალურად. ჯაშუშური ქსელის ერთი ნაწილი პირდაპირ უკრაინული ცენტრიდან იმართება. დააკვირდით, ჰელსინკის კომისიაში სომხეთის წარმომადგენელს სანქციებზე შეკითხვა რომ დაუსვას, მან სომხეთზე, აზერბაიჯანზე ცუდი არაფერი თქვა და საქართველოზე დაიწყო საუბარი. დღეს სომხეთი დასავლური პროექტია. ეს ერთი მთლიანი ჯაჭვის რგოლებია.

— რეალურად, რა ხდება მსოფლიოში?

— ზოგს, ვინც მოვლენებს მხოლოდ საქართველოში ადევნებს თვალს, ჰგონია, რომ ასეთი ვითარება მხოლოდ ჩვენთანაა. ასე არ არის. მსოფლიოშიც იგივე ხდება. როცა ევროკავშირში გაწევრიანებაზე ვსაუბრობ, ყოველთვის ვამბობ, რომ შევალთ, ოღონდ სულ სხვა ევროკავშირში. ახალი ევროკავშირის კონფიგურაცია იკვეთება, რომლის სიმძიმის ცენტრი ბალკანეთისკენ მოდის. სახეზეა მსოფლიო ოლიგარქიის დიდი გადანაწილება ისევე, როგორც ადრე მაფიის ბოსებს შორის ხდებოდა — რომელიც ოჯახს რომ ჩამირაგდინებოდა. აი, ამ სურათს ვხედავთ — მსოფლიო ოლიგარქიაში სერიოზული ჯახი მიდის. ქუჩაში რომ დაწანწალებენ, იმ ხალხს ჰგონია, რომ ყველაფერი მარტივად, დაიყვინტებენ, ევროპაში გვინდაო და მიზანს უცებ მიაღწევენ, ან ხვალ რომ დაიფერონ, მარსზე გვინდაო, იქ დაუფიქრებლად გაუშვებენ. აი, რა დონის პრიმიტიული ხდება აქვთ. რეალურად, როგორც მოგახსენეთ, მსოფლიო ოლიგარქია — ფინანსების, რესურსებისა და ლოჯისტიკური გზების გადანაწილებისთვის იბრძვის. მსოფლიო იცვლება და ერთპოლუსიანიდან მინიმუმ ოთხპოლუსიანი ხდება. ეს პოლუსებია: ამერიკა, რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი. სერიოზული გადანაწილება მოხდება არაბულ სამყაროშიც, რომელიც ამჟამად ამერიკული, ანგლოსაქსური ნებით ხელოვნურად გადანაწილებული. იქ სერიოზული ცვლილებები დაიწყება.

— მსოფლიო ტრამპის ინაუგურაციის მოლოდინში იყო. რა იცვლება მისი მოსვლით?

— არავის ეგონოს, თითქოს ტრამპი დამოუკიდებელი ფიგურაა, ეს ილუზიაა. მის გვერდით და არა უკან, მასზე წინაც კი, იღონ მასკი დგას. უბრალოდ, იღონ მასკი ამერიკაში დაბადებული არ არის, ამიტომ პრეზიდენტი ვერ გახდებოდა. იგი სამხრეთ აფრიკაშია დაბადებული. ტრამპის მოსვლით სილიკონის ველის მმართველობა ძველ ოლიგარქიატს — ამერიკის გაყოფილებულ ბიუროკრატიაში უპირისპირდება. გაყოფილებულ ბიუროკრატიაში იმ მარიონეტებს ვგულისხმობ, რომელთაც თავის დროზე ძალაუფლება იგდეს ხელთ. პილარი კლინტონიც, ობამაც მარიონეტები იყვნენ, რადგან მათ უკან იდგნენ ოჯახები, რომლებიც ამერიკას რეალურად მართავდნენ. ამ ბიუროკრატიაში ფინანსები, გავლენები მოიპოვა და ბოლო რამდენიმე არჩევნები დამოუკიდებელ მოთამაშეებამ მოგვევლინა. დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის დაპირისპირება გაჩაღდა. ახლა ვიღაცების ჩაჩოჩება ხდება. ოლიგარქიაში ყველაზე თანამედროვე იღონ მასკი გახლავთ. ვის ებრძვიან, ჩვენ მათ ვერ ვხედავთ. ჩვენ ვიცით სამხედრო სამრეწველო კომპლექსი უზარმაზარი თანხებით, „დიდი სთიფი“, რაც „დრამა სახელმწიფოს“ ნიშნავს. ეს ჩვეულებრივი ოლიგარქიაა, არავითარი „დრამა სახელმწიფო“. ეს არის საფინანსო, საბანკო, სამხედრო ძალები, რომლებიც ევროპაშიც არიან და ამერიკაშიც. გადანაწილება სწორედ მათ შორის ხდება. ორბანმა ფსონი ტრამპის სილიკონის ველზე გააკეთა. შედეგად, იგი დღეს გამარჯვებულის პოზიციაზეა. ჩვენც ამ ველზე ვართ. ივანიშვილის სტრატეგიაც სწორედ ამაზეა გათვლილი. ვხედავთ, რომ ძველ ევროპას — ფონ დერ ლაიენებს და სხვა მსგავსთ, იღონ მასკამ თავში ჩაუკაუნა იმიტომ, რომ რეალურად, ევროპას „მაყურებლად“ ორბანი დაუსვა.

— აბა, ოპოზიციას ტყუილად უხარია, ორბანი ინაუგურაციაზე არ დაპატიჟეს?

— დიას, იგი ევროკავშირის თავმჯდომარეა და იქ შემჯავებელი სიტყვით გამოდის. ამ სულელებს ჰგონიათ, ტრამპმა ორბანი გადააგდო. არა, ის ევროპის „მაყურებელია“. რაც შეეხება რუსთაველის გამზირზე მოსიერიეთ, დღეს მათი ლიდერი დამალულია. თითქოს ულიდერო რევოლუცია მზადდება. რეალურად, ფული საიდანაც მოდის, დამკვეთიც იქ არის. შესაძლოა, დამკვეთი კიზუბაშვილი სულაც არ იყოს და იგი მხოლოდ რგოლს ან სალაროს წარმომადგენდეს. ვინ არის ის, ვინც ოლიგარქიის მორე, ძველ ხაზს ემხრობა? — აი, ეს უნდა გამოვთვალოთ.

ერთ-ერთ სერიოზულ პიროვნებასთან საუბარი მასხენდება. მაშინ ხაზარაძე პოლიტიკაში ახალი გამოჩენილი იყო და არსებობდა ეჭვი — შეიძლება ივანიშვილის თამაშს თამაშობდესო. მან მითხრა, ხაზარაძეს უცხოეთში ბევრად ძლიერი კავშირები აქვს, ვიდრე ივანიშვილსო. წარმოდგენილია, ცდები-

მეთქი, — ვუპასუხე. არ ვცდებიო, მითხრა დარწმუნებით.

ჩემი აზრით, ეს ანგლოსაქსური ველი იყო. ამის მერე დაიწყო ომი უკრაინაში, ბრიტანელების ჩარევა უკრაინის სასარგებლოდ. გაიხსენეთ ბორის ჯონსონის განცხადებები, ბაიდენზე აღარაფერს ვამბობ. და ნახეთ, რას ვხედავთ ამჟამად? — ბრიტანეთი ივანიშვილის დასანქცირებას ითხოვს. თავიდანაც მან და ბაიდენმა დაიწყეს ეს თემა. ანუ, ბრიტანული, ჯერ კიდევ მოქმედი ანგლოსაქსური ელიტა ივანიშვილს ასანქცირებს! სულ მეშინოდა, რამდენად გაუძლებდა ივანიშვილი ამ ყველაფერს და კიდევ გავდივართ სამართლებლის პირზე. მსოფლიო ოლიგარქიის გადანაწილების პროცესში განხეთქილება აშკარად გამოკვეთილია. ის ხაზი, რომელიც ივანიშვილმა აირჩია, ახლა მოდის, ძველი ბიუროკრატია კი მიდის, თუმ-

ცივი ზამთარი უდგას, ბევრ ქვეყანას გაზი არ მიეწოდება.

აშკარაა, რომ საქართველო მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, მსოფლიო ოლიგარქიაში რა გადაწყვეტილება წავა, რა ძალები გაიმარჯვებენ. აქ ყველაფერი გაპრიმიტივებულია, დარბიან და გაპყვირან, რუსეთი არ მინდა, ევროპა მინდაო. აგერ, კანადას არ ეკითხებიან, უნდა თუ არა ამერიკის შტატი გახდეს და ჩვენ ვინ ვართ?! ეს ბავშვური ინფანტილიზია და არა პოლიტიკა. ჩვენთან პოლიტიკა ახლა შეჩერებულია. ოპოზიცია აკონიაშია, მხოლოდ დასავლური დაფინანსება ასულდგმულებს. უხარიათ, ხელისუფლებას დასავლეთი ლეგიტიმაციას არ აძლევსო. ვეღარ მიხვდნენ, რომ მსოფლიო შეიცვალა და ვიღაცებისთვის ხელის ჩამორთმევა საერთოდ არ გვანდობს. თანაც ზომ ვიცით, რომ ხელის არჩამორთმევე-



ცა ჯერ ისევ ძლიერია, რასაც თბილისის ქუჩებშიც ვხედავთ ოღონდ, არა ძალაში, არამედ ფულში გამოხატულს. მარშლებს ბანერები რომ უჭირავთ, ამაში ფულია გადახდილი. ყველა ბანერი, ლობიანი და სხვა, დიდი ფულია. აქციის მონაწილეების გარკვეულ ნაწილშიც, რა თქმა უნდა, ფულია გადახდილი. ამ მსოფლიო ოლიგარქიის შეჯახების „აფთერ-შოკები“ საქართველოზე გადის. აი, ამ რეჟიმში ვართ და ყველაფერი მაშინ დასრულდება, როცა მსოფლიო ოლიგარქიის გადანაწილება დამთავრდება.

ჩავთვალოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ დამოუკიდებლად არ ვარსებობთ. ტრამპი ამბობს, გრენლანდია და კანადა მინდაო. ანუ, ოთხპოლუსიანი სამყაროს გამოკვეთის წინ სახეზეა ძალის სამართალი. გაეროს სამართალს ბაიდენის ადმინისტრაციამ და ანგლოსაქსებმა საერთოდ გადაუარეს. წესებსაც თავად ადგენენ და საერთაშორისო კანონებს არად დაგიდევდნენ. ახლა ეს იცვლება. შესაძლოა, ამერიკაში ნეოკონებმა ოთხი წლის მერე რეჟიმში აიღონ, მაგრამ მსოფლიოს ვეღარ შეცვლიან და დანარჩენ პოლუსებს უკან ვეღარ დააბრუნებენ. ვეღარც რუსებს ეტყვიან, ისევე „ბენზოკალონიკა“ გახდით, ასე რომ ეგონათ. რუსეთის ეკონომიკამ საოცარი ნახტომი განიცადა. რუსეთის ეკონომიკა სანქციებმა უფრო გააძლიერა და გაუგებარია, მას რაზე უნდა ევაჭრონ. მაშინ, როცა ამერიკის ეკონომიკას ძალიან უჭირს, ლოს-ანჯელესის ხანძრის მერე ზარალი 25 მილიარდია. საგარეო ვალი კი რამდენიმე ტრილიონია. ევროპასაც

ბი ხვალ იქ აღარ იქნებიან, მეტიც, მალე მათ აღარ ჩამორთმევენ ხელს, რადგან ყველანი ჭადრაკის ყუთში იქნებიან ჩაყრილი ან დიდი ფულის გათვრებისთვის ციხეში გამწყვებულნი. იმ ადამიანების გონებრივი მასშტაბი, ვინც აქ პოლიტიკა-ნობს, „იწრო არს“. ოპოზიციას, კი ბატონო აქვს ფინანსები ალასანიას გავლენით, თუ რიგი ბანკირების, რომლებიც ბრიტანული, ანგლოსაქსური ხაზით იკვეთებიან, მაგრამ ახლა თავად ბრიტანეთს ემუქრება ტრამპის ადმინისტრაცია — ბრიტანეთი იმ ტირანისგან უნდა გაკავთავისუფლოთ, რომელიც ხელისუფლების სახით ჰყავსო. ეს დევების დომინოა და ვნახოთ, რომელი დევი გაიმარჯვებს. ჯერჯერობით, გამარჯვებული ტრამპი და სილიკონის ველის ახალი თაობაა. ტრამპი არის სილიკონის ველის ახალი თაობა. ჩვენც ამ მენიუში ვართ, სადაც არის როგორც ძირითადი კერძები, ისე დესერტები და წასახმესებელი. ჩვენ ხემსი ვართ. მსოფლიოში უახლოესი 20-25 წლის განმავლობაში ძალის პოლიტიკა, სამართალი იმეფებს. მერე ომები დაიწყება. პირველ რიგში, იქნება მცდელობა, ოთხპოლუსიანი სამყაროში ჩინეთი და ინდოეთი როგორმე იზოლაციაში მოახვედრონ. ჩვენც ამის მონაწილე ვართ. საქართველო ამ დიდ პოლიტიკაში მოთამაშე კი არა, მოძლოდინია. მან სწორი გათვლები უნდა გააკეთოს, რათა როგორც სახელმწიფო, დედამიწაზე დატრიალებულ პოლიტიკურ არმაგედონს გადაურჩეს.

თამარ შველიძე



დემოკრატიული ბოძებული უნიკალური ადგილმდებარეობის გამო, გეოინტერესები საქართველოს მიმართ ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება. ისტორიულად, მთავარი გეომოთამაშეები ძლიერი იმპერიები იყვნენ და პირველობის მოსაპოვებლად ერთმანეთის განადგურებას ცდილობდნენ, ამიტომ იმპერიები იბადებოდნენ და ქრებოდნენ. ასე იყო წარსულში, მაგრამ რამდენად შესაძლებელია იმპერიის გაქრობა ბირთვულ ეპოქაში, სადაც ხმალის ბატონობა დრონებისა და რაკეტების ბატონობამ შეცვალა? პიროსიმასა და ნავასაკიში ატომური ბომბები თვითმფრინავებიდან ჩაყარეს, დღეს ამ ფუნქციას რაკეტები შეასრულებენ, ხვალ ბირთვულ იარაღს კოსმოსშიც განათავსებენ და მაშინ საფრთხე იმ ციდანაც დაგვეუქრება, რომლის ცქერა გვსიამოვნებს დღისითაც და ღამითაც. ბირთვული იარაღი ბევრ სახელმწიფოს გააჩნია, ამ იარაღის ღირსის წილი კი რუსეთსა და აშშ-ზე მოდის. ამიტომ ბოდიშის მოხდით ჩინეთთან და სხვა ბირთვულ სახელმწიფოებთან, მთავარ გეომოთამაშეებად შეგნებულად განვიხილოთ მხოლოდ მოსკოვს და ვაშინგტონს. ეს ორი ბირთვული იმპერია ერთმანეთს რომ ებრძვის, ამას ყველა ვხედავთ, მაგრამ რა არის მათი კონკრეტული მიზანი?

დავიწყოთ ვაშინგტონით. ნატო-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობა, ქვეყნის პრინციპის მსგავსად, იმას ამოსძახებენ, რასაც ვაშინგტონი ჩასძახებს, ანუ ამ ქვეყნებისთვის ვაშინგტონია N1 გეომოთამაშე და მის მიერ კონტროლირებად წესრიგს ემორჩილება. ვაშინგტონის მორჩილ ქვეყნებში, თავად აშშ-ის მოსახლეობის ჩათვლით, მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 20% ცხოვრობს. პირველობისთვის ვაშინგტონს სჭირდება სხვა ქვეყნების დამორჩილება, ამ ქვეყნების ჯამური მოსახლეობა კი მსოფლიოს მოსახლეობის 80%-ზე მეტია. როგორ აპირებს ამის მიღწევას? მთავარი კონკურენტის მოსკოვის ნეიტრალიზებით, შემდეგ ჩინეთის ნეიტრალიზებით და პირველობის სენი მიმავალ გზაზე სერიოზული მოწინააღმდეგე აღარ ეყოლება. რუსეთს აშშ-ზე მეტი ბირთვული იარაღი აქვს და რაკეტების სისწრაფითაც უსწრებს ვაშინგტონს, ამიტომ რუსეთის, როგორც იმპერიის გაქრობა შეუძლებელია. ამიტომაც გადაწყვიტა ბაიდენმა რუსეთის არა გაქრობა, არამედ დასუსტება ხანგრძლივ ომში და აიძულა კიდევ პუტინი, შეჭრილიყო უკრაინაში. ადრეულ პუბლიკაციებში ხშირად ვამბობდი, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრა ვაშინგტონის გეგმის ნაწილი იყო, მაგრამ ამისათვის ყურადღება არაავის მიუქცევია. დღეს ტრამპი ამბობს, ბაიდენმა აიძულა პუტინი, შეჭრილიყო უკრაინაში და მე რომ ვყოფილიყავი პრეზიდენტი, ეს არ მოხდებოდა. ტრამპი იმასაც ამბობს, აშშ ნატო-ს ძლიერების მთავარი წყაროა და სწორედ ამიტომ ნატო-ს შენახვის ხარჯების ღირსის წილი ამერიკელების გადასახდელი ან აღარ იქნება, ან დავტოვებ ამ აღიანსსო. ამ სიტყვებით ტრამპი ამბობს, ინაუგურაციის შემდეგ ჩემი ადმინისტრაცია დაიცავს აშშ-ის ინტერესებს და ამ პრინციპზე დაყრდნობით ითანამშრომლებს: ნატო-

სთან, ევროკავშირთან და დანარჩენ მსოფლიოსთან.

პარალელის გასაყვებად საქართველოს ხელისუფლებას დავაკვირდეთ, რომელსაც შიგნიდანაც და გარედანაც წნეხში ატარებენ მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე ზრუნავს. როდესაც ამერიკის კონგრესში უკვე შეცვლილი ძალთა ბალანსი შეიცვლება ევროპაშიც და მაშინ, იგივე ქვეყნის პრინციპით, ნატო-სა და ევროკავშირის ქვეყნები ამოიძახებენ იმას, რასაც მათ ტრამპის ადმინისტრაცია ჩასძახებს.

რაც შეეხება რუსეთის ხანგრძლივი ომით დასუსტებას, დიდი

უკრაინა. მხოლოდ უკრაინის გამთლიანების შემდეგ უნდა დაეყენებინა ნატო-ს წევრობის საკითხი, მაგრამ, როდესაც ამ საკითხს დააყენებდა, დაინახავდა, რომ გამთლიანებული უკრაინის რუსულენოვანი რეგიონები უარს განაცხადებდნენ ნატო-ს წევრობაზე და ამ უარით ნატო-ს თემა სამუდამოდ დაიხურებოდა. შემდეგ, უკრაინაც გადარჩებოდა და უკრაინელებიც, მაგრამ ზელენსკიმ საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე მალა ნატო-ს წევრი ქვეყნების ინტერესს დააყენა და ამიტომ მოიძიეს იმას, რაც თვითონ დათესა.

ახლა მოვიდა დრო, საქართველოზე ვისაუბროთ. დავიწყებ იმით,

ხელისუფლებებმა არ დააზიანებინონ გეომოთამაშეებს საქართველოს ინტერესები, პირიქით, უცხო ქვეყნების ინტერესებიდან საქართველომ თავისი წილი სარგებელი უნდა მიიღოს. მოგეხსენებათ, ამჟამინდელი ხელისუფლება საქართველოს ალიქვამს შუა დერეფნად აბრეშუმის გზაზე. მოგეხსენებათ ისიც, რომ აბრეშუმის გზა თითქმის ხუთი საუკუნე არ ფუნქციონირებდა და პრაქტიკულად, თავიდან იბადება. რამდენიმე წელიწადში ეს გზა სრული დატვირთვით იმუშავებს. ამიტომ, საქართველოს სახით ვხედავ არა საშუალო დერეფანს, არამედ მთავარ გამანაწილებელ

მორჩილი ხელისუფლება ეყოლება საქართველოს, თუ საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მსახური.

ქართველი ხალხის მიერ ამ სამი პუნქტის არსის გაზიარება საკმაოდ რისკი იქნება, რომ გარე ძალებმა ვერ მოიყვანონ ხელისუფლებაში მათი მორჩილი მარიონეტები, ვერ მოიყვანონ ვერც არჩევნების გზით და ვერც ფერადი რევოლუციებით.

რაც შეეხება საქართველოს ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან, მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ საქმიანი ურთიერთობები უნდა დაამყაროს მხოლოდ ისეთ სახელმწიფოებთან, რომლებიც საქართველოს თანასწორად ალიქვამენ.

საქართველო - გეომოთამაშეების საიზნა თუ პარტნიორი?

აღბათობით, ეს პროცესი შეჩერდება, ვინაიდან ტრამპი სერიოზულად ფიქრობს უკრაინის ომის დასრულებაზე. ამ ომის დასრულება კი ავტომატურად შეაჩერებს ვაშინგტონის მიერ კონტროლირებადი წესრიგის დამყარების პროცესს. გაგრძელდება თუ არა ეს პროცესი ტრამპის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, ამას დრო გვიჩვენებს.

ახლა ვიმჯჯლოთ მეორე ბირთვული იმპერიაზე, რუსეთზე. რისთვის იბრძვის მოსკოვი? მოსკოვს, ჩინეთს და მსოფლიოში არსებული სახელმწიფოების დიდ უმრავლესობას საკუთარი და არა ვაშინგტონის მიერ ნაკარნახევი წესებით ცხოვრება ურჩევნიათ, ამიტომ ვაშინგტონის მიერ კონტროლირებად წესრიგს მომავალი არა აქვს. რაც შეეხება უკრაინაში შეჭრას, პუტინი აფრთხილებდა ბაიდენს, რომ საბჭოთა კავშირის, მანამდე კი მეფის რუსეთის შემადგენლობაში მყოფი უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებას არ დაუშვებდა. ბაიდენმა იცოდა, რომ პუტინი ნათქვამს ცოცხალი თვით არ გადავიდოდა და ვინაიდან რუსეთის ომში ჩართვა სურდა, აქვებდა პუტინს: „უკრაინას სურს ნატო-ს წევრობა და გახდება კიდევცო“.

პოდა, რუსეთიც იძულებული გახდა, შეჭრილიყო უკრაინაში და თუ გახსოვთ, მაშინ პუტინმა თქვა: „ვინაიდან ნატო-მ რუსეთთან ომი აიჩნია, ვიომებთ ნატო-სთან“. განა ასეც არ არის? უკრაინელი სამხედროების ხელით, უკრაინის ტერიტორიაზე ნატო ებრძვის რუსეთს, რუსეთი კი - ნატო-ს. რას აკეთებს ზელენსკი ამ ომში? იმის ნაცვლად, რომ გააკვირდეს, ვინმე შეაჩერებდა რუსეთს, ვინმე შეაჩერებდა რუსეთს, იბრძვის ნატო-ს ინტერესების დასაცავად და ამით ღუპავს საკუთარ ქვეყანას. რას მიიღებს ზელენსკი ომის დასრულების შემდეგ? ბევრად მცირე ზომის უკრაინას, ვიდრე ომამდე იყო, ნატო-ში კი მაინც ვერ შევა. ვერ შევა იმიტომ, რომ არც რუსეთი დაუშვებს ამას და არც ნატო-ს წესდება იძულება იმის საშუალებას, რომ კონფლიქტში მყოფი სახელმწიფო გახდეს ნატო-ს წევრი. ამიტომ, სანამ ნატო-ს წევრობას დააპირებდა, ზელენსკის უნდა დაერეგულირებინა კონფლიქტი რუსულენოვან რეგიონებთან და გაემთლიანებინა



რომ „ოცნების“ ხელისუფლებაც იმას იმკის, რაც დათესა. მიუხედავად იმისა, რომ დათესა ის, რაც საქართველოს ინტერესებს ჰაერივით სჭირდება, დასჯას იმკის. დამსჯელები ამართლებენ დასჯის აუცილებლობას იმ ორმაგი სტანდარტით, რომელიც დემოკრატიაში დათესეს და დამახინჯებულ დემოკრატიაში ჭეშმარიტ დემოკრატიად გვაწვდიან. ორმაგი სტანდარტის მაგალითის მოსატანად საკმარისია განვიხილოთ 2024 წლის სამართლიანად და გაუყალბებლად ჩატარებული არჩევნები. ორმაგი სტანდარტი საშუალებას იძლევა, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე ეს არჩევნები არაკონკურენტულად და გაყალბებულად ჩაითვალოს. სანამდე იზიომებს ამგვარი ტყუილი? მანამდე, სანამ ევროპაშიც არ შეიცვლება პოლიტიკურ ძალთა ბალანსი ისე, როგორც ეს აშშ-ში მოხდა. როდესაც ძალთა ბალანსი შეიცვლება ევროპაშიც, ყველა ის ამერიკელი თუ ევროპელი პოლიტიკოსი, ვინც ორმაგი სტანდარტით გვსჯიდა, ან დაემშვიდობება პოლიტიკურ კარიერას, ან პოლიტიკურ წონას დაკარგავს.

რაც შეეხება გეომოთამაშეებს საქართველოს მიმართ, ასეთი ინტერესები ყოველთვის იქნება, მთავარია, ამჟამინდელმა და მომდევნო პუნქტს, რომელიც ევროპისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არტერიად გადაიქცევა. თუ მე ვხედავ ამას, ევროპაც ხომ ხედავს, ამიტომ სერიოზულ გეომოთამაშეებს აუცილებლად გაუჩნდებათ სურვილი, რომ საქართველოში მორჩილი ხელისუფლება ჰყავდეთ. ასეთი საშიშროების პრევენციის მიზნით, ხელისუფლებამ უნდა გააქტიუროს ავტოკრატიული მუშაობა ქართველ ხალხთან, უპირველეს ყოვლისა კი, ახალგაზრდებთან. ამგვარმა მუშაობამ უნდა გამოიღოს სამი შედეგი:

1. ქართველი ხალხი უნდა მიხვდეს, რომ, როდესაც კონკრეტული პარტიის წარმომადგენელი ლაპარაკობს ქართველი ხალხის სახელით, რეალურად კი რამდენიმე პროცენტის მხარდაჭერა აქვს, ამით შეურაცხყოფას აყენებს ქართველ ხალხს.
2. ქართველმა ხალხმა უნდა ირწმუნოს, რომ საქართველოს ინტერესებს გაატარებს მხოლოდ ქართული ორიენტაციის მქონე ხელისუფლება. პრორუსული, პროამერიკული თუ პროდასავლური ხელისუფლება ამ „პროების“ მსახური გახდება და არა ქართველი ხალხის.
3. ქართველმა ხალხმა უნდა ირწმუნოს, რომ მხოლოდ მისი გადასაწყვეტია, უცხო ქვეყნების

გარდა ამისა, მოსახლერე სახელმწიფოებთან, ანუ კარის მეზობლებთან, საქართველოს განსაკუთრებული სიახლოვე უნდა ჰქონდეს. სიახლოვე შორეულ სახელმწიფოებთანაც მისასაღებელია, მაგრამ გეოპოლიტიკით და გეოეკონომიკით გადატვირთულ მსოფლიოში ეს ადვილი არ იქნება, ამიტომ ურთიერთობებში საქართველოს სიფრთხილვე მართებს. მაგალითად განვიხილოთ ანაკლიის პორტი, რომელსაც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ჩინეთი ააშენებს. საქართველოში ჩინეთის შემოსვლით ტრამპი არ მოიხიბლება. პირიქით, ჩათვლის, რომ პეკინი პორტს პოლიტიკური მიზნებისთვისაც გამოიყენებს. ჩინეთსა და ამერიკას შორის მეგობრობა მოჩვენებითია, მაგრამ ერთი და მეორეც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და სწორედ ამიტომ, ხელისუფლებამ უნდა აუხსნას ორივეს, რომ პოლიტიკური კუთხით ანაკლიის პორტის ერთადერთი განმკარგველი საქართველო იქნება. ეს რომ ასე იქნება და არა სხვაგვარად, უნდა ჩაიწეროს იმ ხელშეკრულებაში, რომელიც საქართველოსა და ჩინეთს შორის დაიდება. ასეთი ხელშეკრულებით საქართველო

„დისბატიდან“ - უფლებადამსჯელობა



ჯარისკაცის დისციპლინარულ ბატალიონში

საკმაოდ ლაღი ბავშვობა მქონდა, მეგობრების, ახლობლების გარემოცვაში გავიზარდე, თუმცა დედამამიშვილები არ მყავდა, რაც ნებისმიერი დედისთვის ბავშვისთვის სერიოზულ ტრაუმად მიმაჩნია. პირადად ჩემთვის დრამატული იყო და-მამის არყოფა, რასაც ძალიან განვიცდიდი. შაბათ-კვირას ჩვენთან დედას მისიშვილები მოდიოდნენ, ვისთან ერთადც ვიზრდებოდი, თუმცა ეს ორი დღე უცებ ილუოდდა და მერე ისევ მარტო ვრჩებოდი. ეს ფაქტი ჩემს ბავშვობაზე ტრაგიკულად აისახა. ყველაზე მძაფრი მოგონება კი, რაც ახალგაზრდობის წლებიდან შემომჩნა, ჯარში ყოფნის პერიოდს უკავშირდება. 1985 წელს, პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა 18 წლის ასაკში ჯარში გამიწვიეს. ჯარისკაცის კვა-

ხდებოდა, ყველასთვის გასაიდუმლოებული იყო. დისბატ-ში მოხვედრას სასჯელადსრულებს დაწესებული იყო ფონა სჯობდა.

ორივეს, მეც და ჩემს მეგობარსაც, გვეგონა, რომ მაქსიმალური აღმინისტრაციული დაკავების ვადა ხუთი დღე იქნებოდა და მერე გაგვიშვებდნენ, მაგრამ მე-4-მე-5 დღე საგამოძიებო მოქმედებები დაიწყო და ჩვენ, სომხეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ჩხუბისთვის პასუხისმგებამი მიგვცეს. აქვე გეტყვით, რომ ჩხუბი ჩემგან დამოუკიდებელი მიხეხებით მოხდა, მაგრამ თავი ვალდებულად მივიჩნიე, მძიმე წუთებში მეგობარს გვერდით დავდგომოდი. ჩემი მეგობარი სტაჟიანი ჯარისკაცი იყო. ჯარში გრადაცია, სუბორდინაციის დასაცავად მნიშვნელოვანია. ჯარში ახალწვეულები ჩამოიყვანეს ქალაქ ჩებოქსარიდან, ჩუვა-

მაშინ სასჯელისთვის აღკვეთის ვადა სამი წლით განისაზღვრებოდა. ჩემმა მშობლებმა ბევრი ეცადეს, რათა დისციპლინარულ ბატალიონში არ მოხვედრილიყავი, მაგრამ იმ დროს მოსკოვის კომისია იყო ჩამოსული და მნიშვნელოვანი შედეგის გაკეთება ვერ მოხერხდა. მე და თენგიზ გაგვასამართლეს, შედეგად, მას — სამი, ხოლო მე — 2,5 წლით დისციპლინარულ ბატალიონში ყოფნა მოგვისაჯეს. 1987 წლის ნოემბერში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავმა მოუწია. საბჭოთა კავშირში დიდი ამნისტია გამოცხადდა, რაც ჩვენც შეგვეხებოდა, მაგრამ ნაცვლად, ფაქტობრივად, იქ, მხოლოდ ცხრა თვე გავატარე. ეს ჯარის მოხდაში ჩამეთვალა, ინსტიტუტიდან გარიცხვასაც გადავრჩი და სწავლა ჩვეულებრივ განვაგრძე.

მე ვიეტნამში უსწორდებოდნენ. დისციპლინარულ ბატალიონშიც დამნაშავეებს მსგავსი მეთოდებით სჯიდნენ. აბუნად აგდების სხვადასხვა ფორმები გამოიყენებოდა. მაგალითად, ადამიანებს 46-კგ-იან ურიკაში წინ და უკან აბამდნენ და ყველა ბრძანება, ასე ურიკებში შებმულს, გარბენით უნდა შეესრულებინათ. ასევე, დამნაშავეებს აიძულებდნენ, მოედნები კბილის ჯაგრისით გაეხეხათ. დღემდე მიმაჩნია, რომ მსგავსი არაადამიანური მოპყრობის პრეცედენტები, რასაც საბჭოთა ჯარში ვაწყვდებოდი, იშვიათია. ვიმეორებ, ეს გასაიდუმლოებული იყო და არსად შექმნილია. რეალურად, ამ თემაზე სტატია არსად წამიკითხავს. იქ რაც ხდებოდა, საკუთარი თვალთ მაქვს ნანახი. რომ არა ქართველების ერთად ყოფნა და ჩვენი მშობლების მაქსიმალური კონსოლიდაცია, ალბათ, თითოეული ჩვენთაგანი ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდებოდა.



პკითხა: შენ ხომ ქართველი ხარ, რატომ არ წმენდ იატაკსო. სიდიროპულომ უპასუხა: მე ბერძენი ვარო. ივანიშვი ხელები მოიფშენი და უცებ ბრძანა: მაშინ, ყველა ბერძენი მოწმენდს იატაკს და პაუპტვანტს დააღაგებსო. მან ამ „დავალების“ შესრულებაზე უარი განაცხადა. იატაკის მოწმენდას, ნებისმიერ ადამიანს, სიკვდილი ეჩინება, რაც საბჭოელმა მეთაურებმა კარგად იცოდნენ. შედეგად, სიდიროპულო კარცერში შეაგდეს, თან ორი სათლი ქლორიანი წყალი შეუსხეს და მერე იქიდან საწყალი ბიჭი გასავეებული გამოიტანეს.

პაუპტვანტში არც ბალენიჯოვები გვაკლდა, რომლებიც ყოველდღე სისხლს გვწოვდნენ. მათი მოსაბობის მიზნით კამერაში დუსტის მბოლავ „შაშკას“ აგდებდნენ და ერთ საათში ისევ უკან შევყავდით ისე, რომ იქაურობა არც კი ნიავდებოდა. ყველაფერს, ჩაისაც კი, დუსტის გემო ჰქონდა. მწერები ნადგურდებოდა, მაგრამ ჩვენ ფერი აღარ გველო, იმდენად ცუდად ვიყავით. ჯანმრთელობას, სიცოცხლეს ნელ-ნელა გვისაბობდნენ. ეს იყო საბჭოთა ჯარის სავიზიტო ბარათი. ვისაც საბჭოთა ჯარში არსებული დისციპლინარული მეთოდები აქვს გავლილი, დამეთანხმება, რამდენად მძიმე იყო ყოველივე. მით უმეტეს, რომ მე წელიწად-ნახევარი ელიტურ ნაწილში ვიმსახურე და ელიტური თანამდებობაც მქონდა. ამ მხრივ ბედმა გამიღიმა. ეს იმით იყო განპირობებული, რომ უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ვიყავი, მათ კი ისეთი პირი სჭირდებოდათ, ვისაც ტექნიკურ რეკლამენტთან დაკავშირებით უნარ-ჩვევების გამოუმუშავება შეეძლო. ამაში კი გამიმართლა, მაგრამ მერე აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში.



ლობაზე საკმაოდ ბევრს მივალწიე — დამიფრული კავშირგამბულობის სპეციალისტი გავხდი და ჩემი პირადი, ხელმეუხეხელი ავტონომია მქონდა, რაც ჯარში ფუფუნებად მიიჩნეოდა. მიუხედავად ამისა, მძიმე შეცდომა დავუშვი, ჩხუბში ჩავერთე, რის გამოც დამაკავეს. ჯარში ქართველებთან და სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად, ვოლგისპირელი თათრებიც იყვნენ, რომლებთანაც ჩემს მეგობარს კონფლიქტი მოუვიდა, მის დასაცავად ჩხუბში მეც ჩავერთე და ისინი საკმაოდ დავაზიანეთ, რასაც დღემდე ძალიან განვიცდი. აი, ასე დავაკავეს. მეგონა, დისციპლინარულ სასჯელს დავგაკისრებდნენ, თუმცა ასე არ მოხდა და დისციპლინარულ ბატალიონში აღმოჩნდით. იქ რაც

შეთიდან. ისინი ხუთნი იყვნენ და შიდა განაწესს არ დაემორჩილენ. ყოფით ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტი სერიოზულ ჩხუბში გადაიზარდა, რომელშიც მონაწილეობდა ერთი ქართველი ხუთი სხვა ეროვნული წარმომადგენლის წინააღმდეგ. სწორედ იმ მომენტში შევედი ყაზარმაში, როცა ჩხუბი იყო გაჩაღებული. დავინახე, რომ ჩემს მეგობარ თენგიზ სერიოზული პრობლემა ექმნებოდა, მეც ვიშვილე რაც ხელთ მომხვდა და ჩხუბში ჩავუბი. მომხდარი ინციდენტის შედეგად, როგორც ვახსენე, ორი ადამიანი დაზიანდა. ჩუვაშების დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, მეც და ჩემი მეგობარიც სისხლის სამართლის პასუხისმგებამი მიგვცეს.

ქარსარი ქარსარი

რაც შეეხება დისციპლინარულ ბატალიონში გატარებულ დროს, მინდა გითხრა, რომ იქ არაადამიანურ პირობებში ვიმყოფებოდი. რაც ამ დაწესებულებაში ხდებოდა, ტაბუდადებული თემა იყო. იქ არსებული ვითარება არ შექმნიდა არც ტელევიზიით, არც ჟურნალ-გაზეთებში, ყოველივე საჯარო დაკვირვებისა და მონიტორინგის თვალისთვის მიუწვდომელი იყო. ეს იყო სპეციალური სადასჯელო დაწესებულება, სადაც ადამიანებს ყველაზე სასტიკი ფორმებით უსწორდებოდნენ. მაგალითისთვის გეტყვით, რომ დისციპლინარულ ბატალიონში აღმინისტრაციული გადაცდომისთვის კარცერში გსვამდნენ, რომელიც ხუთი მეტრი სამ მეტრზე ფართობს წარმოადგენდა, მაგრამ კარცერშივე მერე კარცერი, ე. წ. ვალია გხვდებოდა, რომელიც სიმაღლით მეტრი და ორმოცი სანტიმეტრი, ხოლო სიგრძე-სიგანით ოთხმოცი სანტიმეტრი, ანუ კვადრატის ფორმის იყო. ვისაც კარცერს მიუსჯიდნენ, ერთი დღის განმავლობაში ექვსი საათის გატარება სწორედ ამ გალიაში უწევდა. ანუ ეს იყო კარცერი კარცერში. ჯარისკაცს რომ ეგონა, კარცერში მსვამენო, უცებ, „გალიაში“ აღმოჩნდებოდა, სადაც ყველა ჯარისკაცზე მოქცევის განსაკუთრებული, შიდა კოდექსი მოქმედებდა. მაგალითად, არ შეიძლებოდა ჭამა, რათა იქარ მოგესაქმებინა. ამ მეთოდებით 60-იან წლებში ტყვე-

**ხელახალ პატიმრობას
ბადარჩენილი**

როგორც ვახსენე, 1986 წლის 17 მარტს დამიჭირეს და 8 დეკემბერს, ღამის 12 საათზე ამნისტიის შედეგად, დისციპლინარული ბატალიონიდან გამათავისუფლებს. დისბატი ჯანდარის ტბის პირას იყო გაშენებული. შუალაშევი კიდე ერთ პირთან ერთად, ყარაიასის უდაბნო ფეხით გამოვიარეთ. გარდაბნად, დაახლოებით 15 კილომეტრი უდაბნოში ფეხით ვიარეთ. მერე ტაქსი დავიჭირე და დილის 7 საათზე დედაჩემს სახლში მივადექი. გაცემული ცნობის თანახმად, პირობით ვადახე ადრე ვიყავი გათავისუფლებული და სამხედრო ნაწილში სამი დღის ვადაში უნდა დავბრუნებულიყავი. მესამე დღეს ჯარში დავბრუნდი და კინაღამ ხელახლა დამიჭირეს. საქმე ის არის, რომ ზუსტად იმ დროს, როცა ჯარში დავბრუნდი, პიროვნება, ვისთანაც ჩხუბი მომივიდა, ნაცემი დამხვდა. თურმე, აზერბაიჯანელებს უცემიათ. ჩემი იქ ჩასვლა და მისი ცემა დროში დავმთხვავე. დაკითხვაზე გამომიძახეს და ისევე მაპატიმრებდნენ, მიიჩნიეს, რომ შურისძიების ნიადაგზე დავბრუნდი მის საცემრად. მაშინვე მთელი ქართველები შეიკრიბნენ, პოლიცის მეთაურ ფუკოვთან მივიდნენ და უთხრეს, რომ მე არაფერ შუაში ვიყავი და ნამდვილი დამნაშავე მიუყვანეს. ისიც თავისი ნებით ჩაბარდა, თორემ უეჭველი დამიჭერდნენ. ასე გადავჩინე ხელახალ დაპატიმრებას. პოლიცის

მეთაურმა მითხრა, რომ დისციპლინარულ ბატალიონში გატარებული პერიოდი სამხედრო სამსახურში ჩამეთვალა და საბოლოოდ ჯარიდან გათავისუფლებისთვის სადემობილიზაციო სამუშაოების აკორდი უნდა შემესრულებინა. შედეგად ატომური ელექტროსადგურის დაცვის უზრუნველყოფის ბატალიონში გამიშვეს, სადაც ასევე სასწავლო ცენტრი იყო განლაგებული. პოლიკონიკმა ზამბახიძემ მითხრა, ტანკის ასი ცალი სამიზნე გამეკეთებინა, რაც წარმოუდგენელი იყო. ბატალიონში ორჯონიკიძიდან ოსი ვაჟკაცი ბიჭები იყვნენ, რომლებიც გვერდით დამიდგნენ და სამიზნეების დამზადებაში დამეხმარნენ. ზამბახიძემ სამხედრო ბილეთი გადმოცა და მითხრა, თავისუფალი ხარო. გახსოვთ, როგორც ინდურ ფილმში „ბატონი 420“-ში მოდის რაჯ კაპური ტრასაზე სიმღერ-სიმღერით, ასე მოვდიოდი ფეხით უზომოდ გახარებული. თბილისში მატარებლით ჩამოვედი. სახლში მივედი და სამხედრო კომისარიატიდან ტელეფონზე ზარიც გაიხმა. თბილისის საბურთალოს რაიონის კომისარიატის სადემობილიზაციო განყოფილების უფროსი მიბარებდა. მივედი და შავი დღე მაყარა: კომკავშირულ იდეალებს როგორ უდალატეო. სისხლის სამართლის აღძვრის გამო კომკავშირიდან გამრიცხეს. ინსტიტუტიდანაც კინაღამ გამრიცხეს, მაგრამ მერე დავასაბუთე, რომ დისციპლინარული ბატალიონი ჯარის მოხდა-

ში ჩამეთვალა და ეს ნასამართლეობად არ ითვლებოდა.

**ნინო ნიკოლოზის
სასწავლი და ლოსკის
დროს მოვრჩენილი
თითირი მტრადი**

მეთაურ-მეთორმეტე დღეს საკანში ყოფნა გაუსაძლისი გახდა, მალევე მძიმე დეპრესიაში ჩავარდი: მციოდა, მშიოდა, ამასთან დაერთო ნეიროდერმიტიც. მოკლედ, არსაიდან ხსნა, არსით ძახილი, — ასეთ ვითარებაში ვიყავი. ვგრძობდი, რომ, მიუხედავად ახალგაზრდული შემართებისა, ამ ყველაფერს ფიზიკურად ვეღარ ვუძლებდებოდი და დეპრესიაში ჩავვარდი. ერთხელაც საკანში ვიჯექი, ვკანაობდი, ფიქრებში წავედი და უცებ ხელით შეხება ვიგრძენი, მოვტრიალდი და თეთრ-წვერა მოხუცი დავინახე, რომელმაც სამჯერ მითხრა: ნუ გეშინია, შეილოო. მაშინ ასეთი მორწმუნე არ ვიყავი, ნომინალურად ვიყავი ღვთის მოშიში. ლოცვა მომინდა, მაგრამ საკმაოდ ათეისტურ გარემოში ვიმყოფებოდი და არ ვიცოდი, ეს როგორ გამეკეთებინა. უცებ „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი გამახსენდა: „რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა...“, რასაც ყოველდღიურად 200-300-ჯერ ვიმეორებდი. პატარა სარკმელთან თეთრმა მტრედმა დაიწყო მოფრენა — ლოცვას ვიტყვოდი და ისიც მიფრინავდა. მოხუცი კაცის გამოცხადებამ ჩემზე ისეთი გავლენა იქონია, აღარც რამის შიში მქონდა, არც უმწუბობის განცდა, ფერზეც მოვედი. ჯარი რომ დავასრულე, თბილისში ჩამოსული ქაშუეთის ეკლესიაში შევედი, თუ დაკვირვებხართ, მარცხენა მხარეს, კედელზე წმინდა ნიკოლოზის ხატი რომ არის, სწორედ ის აღმოჩნდა, ვინც ციხეში გამომეცხადა. ამიტომაც წმინდა ნიკოლოზის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული, მოწიწება მაქვს. წმინდა ნიკოლოზის მსწრაფლშემწვობამ და საკვირველთმოქმედებამ ჩემს ცხოვრებას წარუშლელი კვალი დააჩნია. ეს გამოცხადება სიზმრისეული არ იყო. წმინდა ნიკოლოზი ფიზიკურად შემეხო. მოვტრიალდი და გაოგნებული დავრჩი, როცა მოხუცი კაცი დავინახე, რომელმაც საოცრად მანუგემა და დამამშვიდა.

**დისციპლინარული
ბატალიონიდან —
ადვოკატობამდე**

მიუხედავად ყველაფრისა, დისციპლინარულ ბატალიონში მიღებული ცხოვრებისეული გამოცდილება ძალიან გამომადგა. სწორედ ამის მერე გადავწყვიტე, იურისტი, ადვოკატი გაემხდარიყავი და ადამიანის უფლებები დამეცა. ჩემი საადვოკატო პრაქტიკას ყოველთვის ლაიტმოტივად მიჰყვებოდა ახალგაზრდობის წლებში მიღებული ძალიან მძიმე გამოცდილება. სწორედ ამით იყო განპირობებული ის, რომ, როცა პარლამენტში მოვეხედი და სათავეში პენიტენციური სისტემის მონიტორინგის ჯგუფს ჩავუდექი, პატარა ნიუანსსაც კი არ ვტოვებდი შეუფასებელს, რაც ხელისუფლების გაღიზიანებას იწვევდა. ყველაფერს დეტალურად ვაფასებდი და ყურადღებას ვაქცევდი პატიმრის მდგომარეობას,



მის ადგილსამყოფელის პირობებს, რაც თავის დროზე მე პირადად განვიცადე. პირველ რიგში, ეს იყო წამება, არაადამიანური მოპყრობა. მოგესვენებთ, 2008-12 წლებში საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული იყო იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა ჩირის ფასიც არ ღირდა. ღვთის ნებით, მონიტორინგის წარმოება სწორედ ამ მძიმე წლებში მომიწია, ბევრი ჩემი ანგარიში, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც აისახა. მაგალითად, ვახტანგ მაისაიას წამებისა და მისი მკვლელობის მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით. მაშინ ამ საკითხზე პარლამენტში მე და ადვოკატმა ნათია კორკოტაძემ განგაში ავტყვეთ. როცა მემუარების წერის დრო მოვა, აუცილებლად ყველაფერს დეტალურად ავსახავ.

**პროტესტის ნიშნად
შეჩვენილი ოჯახი**

ჩემი მეუღლე ხათუნა კეკელიაა. გვყავს რვა შვილი. ამჟამად ველოდებით მეექვსე შვილიშვილს. 1989 წლის 9 აპრილის მერე, მალევე, პროტესტის ნიშნად დავვოჯახდით. 9 აპრილის ტრაგედია იმდენად შემზარავი იყო, რომ იმდროინდელმა სტუდენტობამ გადავწყვიტეთ, საპასუხოდ ისეთი რამ გავგეკეთებინა, რაც დამოუკიდებელი საქართველოს განვითარების შემდგომ პერიოდს გამოადგებოდა. დიან, ბევრი ახალგაზრდის, თანამებრძოლის გადაწყვეტილებას წინ უძღვოდა პროტესტი, რაც საბჭოეთის კლანჭებიდან თავის დაღწევას უკავშირდებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას უკლებლივ ყველა ახალგაზრდა ატარებდა. ეს შინაგანი მოთხოვნილება იყო, რომ რაღაცნაირად საქართველოს გაძლიერების გზით ხელი რეალური დამოუკიდებლობისთვის შეგვეწყო. სხვათა შორის, ეს ყველაზე სწორი ინსტინქტია. ლაპარაკი არ იყო იმაზე, რომ ხელში ქვეები, ჯოხები აგველო, ვილა-

ცას გამოვკიდებოდი და მიზნისთვის ბრუტალური მეთოდებით მიგვეღწია, არამედ ეს ცოდნასთან, ოჯახთან, შვილებთან, ტრადიციულ ფასეულობებთან, ქართველობასთან, პოზიციების გაძლიერებასთან და რაც მთავარია, დემოკრაფიული ფონდის შექმნასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მაშინდელი ახალგაზრდობა სადისკუსიო კლუბებში იკრიბებოდა და გეგმას ადგენდა, თუ როგორ უნდა გამოეწვრიებინა დემოკრაფიული ფონი ისეთ რეგიონებში, სადაც ქართველობა ნაკლები იყო და როგორ ჩამოეყალიბებინა საზოგადოებაში შინაგანი ცნობიერება, რათა მრავალი შვილის ყოლა ნორმად ექცია. მაშინ, ფაქტობრივად, რამდენიმე მეგობარმა ოჯახი ერთ პერიოდში შევექმინეთ. 1990 წელი სტატისტიკური თვალსაზრისით, დემოკრაფიული აქტივების წლად ითვლებოდა. დიან, ბავშვების ყველაზე დიდი რაოდენობა ქვეყნიერებას სწორედ 1990 წელს მოეწვინა. ეს იმ შთაბრუნებისა და პატრიოტული სულისკვეთების დამსახურება იყო, რითაც ახალგაზრდობა, განსაკუთრებით, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდგომ განიმსჭვავა. თუმცა ეს პატრიოტული სულისკვეთება ბევრად უფრო ადრე, 1988 წლიდან გაღვივდა, როცა თბილისში პირველი აქციები დაიწყო. მაშინ ჩვენ შორს ვიყავით გეოპოლიტიკური კონტენტისგან და მხოლოდ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე ვმოქმედებდით. ასე რომ გაგრძელებულიყო, დღეს დემოკრაფიული საფრთხის წინაშე აღარ დავდებოდით. 1989 წლის მდგომარეობით, საქართველოში 5 მილიონ 450 ათასი მაცხოვრებელი იყო. 1990 წელს დიდი ოდენობით ახალშობილი იმ სულისკვეთებიდან გამომდინარე დაიბადა, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ და რამაც უამრავი ახალგაზრდა ოჯახის შექმნა განაპირობა.

თამარ შველიძე
(დასასრული იმეხება)



ლია წერილი საქართველოს პრეზიდენტ-მინისტრს ირაკლი კობახიძეს

ბატონო ირაკლი!

გულითადად გილოცავთ ახალ 2025 წელს და გისურვებთ ახალ-ახალ გამარჯვებებს ჩვენი სამშობლოს აღმშენებლობისა და კეთილდღეობის საქმეში. დიდი კმაყოფილებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ წინა წელიწადით („საერთო გახილვა“, 2024 წ., 7 თებერვალი) ჩვენ მიერ მოცემული რამდენიმე მამაშვილური რჩევა და თქვენს მიერ გაქვეყნებული მთავრობის პროგრამა ერთმანეთს ემთხვევა, რაც გვაბედვინებს. გვიდა, ერთხელ კიდევ, მივაქციოთ თქვენი ყურადღება, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ გადაუჭრელ ზოგიერთ საკითხს. გარდა ამისა, ვფიქრობთ, ჩვენი საზოგადოების ყველაზე ხალხმრავალი ფენის, პენსიონერების (ამომრჩევლების) მოსახრებები თქვენთვის ინტერესობის საგანად არ უნდა იყოს.

დავიწყებთ ქვეყნის წინსვლისა და კეთილდღეობის საფუძვლად საფუძვლით - განათლების სისტემით. სათვალავი აგვერია, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან განათლების რამდენიმე მინისტრი გამოვიცვალეთ, მაგრამ ახალგაზრდობის განათლების დონე კვლავ ღრუბლის დონეზე რჩება. გვახსოვს, ჩვენს ახალგაზრდობაში მსოფლიო ოლიმპიადები იმართებოდა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებისათვის საბუნებისმეტყველო საგნებში, სადაც, როგორც წესი, საბჭოთა ბავშვები იმარჯვებდნენ. საბჭოთა განათლების სისტემა ერთ-ერთი მოწინავე იყო მსოფლიოში. რატომ არ უნდა გადმოვიღოთ იმ სისტემიდან ისეთი ელემენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი ბავშვების განათლების მაღალ დონეს. ასეა თუ ისე, მიგვაჩნია, რომ მასწავლებლის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს, ასწავლოს ბავშვებს გოგებაშვილის „აი ია“, ან სოსელიას „გარდს გაფურჩქნა კოკორი“, თუ არა. დღევანდელი სკოლადავითარებული რომ იტყვის, არ ვიცი, შოთა რუსთაველი რომელ საუკუნეში მეფობდაო, ან სტალინი მოსკოვის მილიციის უფროსი იყო, ეს ზომსრული კატასტროფაა.

მეორე საკითხი, რომელზეც გვინდა, თქვენი ყურადღება მივაპყროთ, არის პოლიტიკური პარტიების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. თქვენ, ბუნებრივია, არ გემახსოვრებათ და გეტყვით, რომ იმ „ბნელ“ დროს (ჩვენი ახალგაზრდობის დროს ვგულისხმობთ), როდესაც კომუნისტური პარტიის ხელში იყო სახელმწიფოს მართვის ყველა ორგანო, მათ შორის, ქვეყნის ბიუჯეტი, პარტიის ყველა წევრი საწევრო გადასახადს ვიხდიდით. სრულიად

გაუგებარია, რატომ ჩუქნით ხალხის, მათ შორის, ჩვენს ფულს ადამიანებს, რომლებიც აშკარად სახელმწიფოს ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან. უფრო ლოგიკური და სამართლიანი არ იქნება, პარტია მისმა წევრებმა შეინახონ? ელემენტარული გამოთვლით, პარტიებისთვის მიცემული ფულით ჩვენს პენსიებს 450 ლარამდე კი არა, 2000 ლარამდე გაზრდიდით. ნუთუ მიგაჩნიათ, რომ ეს თანხა ხაზარამდე-ვაშაძეებს უფრო სჭირდებათ, ან უფრო დაიმსახურეს, ვიდრე ჩვენ.

რადგან ზამთრით ჩვენი „ბნელი“ წარსული გავიხსენეთ, იმ დროის შესახებ ერთსაც მოგახსენებთ: კერძოდ, ის „უეროვნებო“ კომუნისტები როგორ ზრუნავდნენ ქართული ენის დაცვასა და სიწმინდეზე. კვირაში ერთ დღეს ტელევიზიის პირველ არხზე გამოდიოდა ბატონი ლევან ღვინჯილია და ამხელდა იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებიც უდიერად ეპყრობოდნენ მშობლიურ ენას. ხშირად ეს იყო ორგანიზაციის აბრაზე ან ვიტრინაზე საინფორმაციო წარწერა ჯერ რუსულად და მერე ქართულად. მიუხედავად იმისა, რომ რუსულიც სახელმწიფო ენა იყო, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი მკაცრად აგებდა პასუხს. გთხოვთ, ერთხელ გაიაროთ აღმაშენებლის პროსპექტზე, სადაც პირველი სართულეები პირმინდად აქვთ ოკუპირებული ჩვენს „მეგობარ“ თურქებს და დარწმუნებულნი ვართ, ძალიან ცუდ ხასიათზე დადგებით. ჯერ ქართულს და მერე სხვა ენას ვინ ჩივის, ბევრგან ქართული წარწერა საერთოდ არ არის. თუ „უეროვნებო“ კომუნისტები ასე ზრუნავდნენ მშობლიურ ენაზე, თქვენ, ეროვნულ ხელისუფლებას რა გეშინიათ? ჩვენდა გასაოცრად აღმოვაჩინეთ, რომ ერთი ადამიანი, ბატონი ლევან ღვინჯილიას ნაცვლად, საქართველოს მთავრობაში ქართული ენის დაცვის მთელი დეპარტამენტი გვეოლია, რომელსაც დეპუტატობაში უწერია „სახელმწიფო ენის ნორმების დაცვის მუდმივი მონიტორინგი.“ ამ თემაზე აღარ გავაგებლებთ, ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია.

კიდევ ერთი მომენტი იმ „ბნელი“ წარსულიდან „სახიზღარ“ კომუნისტებს ერთი ასეთი წესი ჰქონდათ: ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელი, პატარა საწარმოს დირექტორიდან რესპუბლიკის პირველ პირამდე, ვალდებული იყო, დაწესებული ჰქონოდა მოქალაქეთა მიღების დღეები და საათები. იმის მიუხედავად, რომ მაშინდელი ხელმძღვანელების ნაწილს თავის მოქალაქეებთან

გამოსაჩენი პირი არ ჰქონდა, ეს წესი განუხრელად მოქმედებდა. ბატონო ირაკლი! თქვენ, რომელსაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მხარს გიჭერს, რა გჭირთ დასამადი. ვფიქრობთ, მამების ამ დადებითი გამოცდილების გადმოღება კიდევ უფრო აამაღლებს ჩვენი მთავრობის და პირადად თქვენს ავტორიტეტს.

ორიოდე სიტყვა ჩვენს საგარეო პოლიტიკაზე, კერძოდ ევროკავშირის შესახებ. მხურვალედ მივესალმებით თქვენს გადაწყვეტილებას ამ კავშირში ჩვენი მიღებისთვის მოლაპარაკების დაწყებაზე ზეწენის შერჩევის შესახებ. მაღლობს გიხდით ამ ღირსეული ნაბიჯისთვის. სირცხვილით ვიწვევით, როდესაც ვუყურებთ, თუ როგორ გვასწავლიან ჭკუას და როგორ გვაყენებენ შეურაცხყოფას ევროპარლამენტარი ვიგინდარები, ან კიდევ უფრო უარესი, ელჩები, რომლებიც პირდაპირ მოუწოდებენ გზაბანეულ ახალგაზრდებს არეულობისკენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ევროკავშირისა და გერმანიის ელჩების გამოხდომები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ აფრიკის ჯუნგლებში მობინადრეებს ელაპარაკებინ. ამ ხალხს ხშირ-ხშირად უნდა უხსენოთ იოსებ სტალინისა და მელიტონ ქანთარას სახელები, რომ იქნებ, მიხვდნენ, როგორ უნდა ელაპარაკონ ქართველ ხალხს.

ბატონო ირაკლი! მოგეხსენებათ, ჩვენ იმ თაობის ხალხი ვართ, რომლებმაც ერთ კავშირში უკვე ვიცხოვრეთ. ამ კავშირში ბინებს უფასოდ გვირიგებდნენ, სურდოდან დაწყებული, ურთულეს ქირურგიულ ოპერაციამდე უფასოდ გვეკურნებდნენ, სწავლა ყველა დონეზე უფასო იყო (ფულს აქვთ გააძლევდნენ), წამლებსა და კომუნალურ გადასახადებს სიმბოლური ფასი ჰქონდა. მინიმალური პენსიით (45 მანეთი 150 კგ. პურის ყიდვას შეეძლო. სკოლებში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა კი არა, თუ კინოთეატრებში ფილმის რომელიმეც ეპიზოდში ქალს მუხლის ოდნავ ზევით შიშველი ფეხი გამოუჩნდებოდა, 16 წლამდე ასაკის ბავშვებს არ უშვებდნენ. ოჯახური ფასეულობების შესახებ კანონი არ გვექონდა, მაგრამ, თუ ხელმძღვანელი პირი თავისი

ოჯახის მიმართ ჩადენილი უღირსი საქციელის გამო ოჯახს დაანგრევდა, მისი კარიერა დამთავრებული იყო. აი, ასეთ უპრეცედენტო სოციალური და მორალური ნორმების პირობებში ნაცხოვრებ ხალხს გვახვეწებენ კავშირში შესვლას, სადაც მამათმავლობა ლამის ღირსების დონეზეა აყვანილი, სადაც კაცი ქალია და ქალი - კაცი, სადაც მაღალ სახელისუფლო პოსტებზე მყოფი ადამიანების კორუფციაში მხილება წესად იქცა, სადაც პატარა ბავშვებსაც კი პორნოსაიტებზე წვდომა შეუფერხებლად აქვთ.

ბატონო ირაკლი! აღფრთოვანებული ვართ თქვენი მოთმინებითა და გამბედაობით იმ არნახული წნეხის წინაშე, რომელსაც განიცდით. ეს წნეხი მართო გარედან რომ იყოს, ისიც ძალზე ძნელი ასატანია, მაგრამ, როდესაც ამას ემატება რამდენიმე ათეული ქართველი ნაძირალას მოღალატეობა, რომლებიც თავს ოპოზიციის უწოდებენ, ამის გაძლება მართლაც გმირობის ტოლფასია. ორჯონიკიძეები, როგორც მათ ხალხმა შეარქვა, მათთვის საქმეები თიკუნია იმით, რომ ორჯონიკიძე, ამათგან განსხვავებით, ფულზე გაყიდული არ იყო, ის იდეისთვის იბრძოდა.

ჩვენში გაკვირვებას იწვევს და ამის შესახებ წინა წერილშიც გწერდით, ის ფაქტი, თუ რატომ აყოვნებთ 3+3 ფორმატში მონაწილეობას, ან რატომ არ გადაგვავთ სააკაშვილი იქ, სადაც მისი ადგილია. თავს ვიმშვიდებთ იმით, რომ ამის მიზეზი, ალბათ, ჩვენთვის უცნობი ფაქტორებია, მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ამ „პატიმარს“ საშუალება რომ აქვს, ტელევიზიებით ხალხს მიმართოს და რეველუციისკენ მოუწოდოს, სრულიად გაუგებარია. არ გვგონია, არსებობდეს მსოფლიოში ქვეყანა, სადაც ასეთი რამ ხდება. პატიმრობის მიზანი დამნაშავეის საზოგადოებისგან იზოლირებაა. ამიტომ სააკაშვილს პატიმარი არ ჰქვია. იმედი გვაქვს, რომ სააკაშვილსაც თავის ადგილს მიუჩნებთ და იმ „ოპოზიციონერებსაც“, რომლებიც დიდი ხანია, სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან.

- ულრმესი პატივისცემით**
- ომარ კიმნაძე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი, 87 წლის
 - ლევან ჯიბუში, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, 87 წლის
 - თინათინ ბჟარჯალაძე, შრომის ვეტერანი, 79 წლის
 - მირაზ ჟიბუში, ხუროთმოძღვარი, 70 წლის
 - შინგალი ჟიბუში, ხელოვნების დამსახურებული მუშაკი, 81 წლის
 - თინათინა ალაშვილი, ხელოვნების დამსახურებული მუშაკი, 72 წლის

საქართველო - გეოთაგაზების საიზნა თუ პარტნიორი?

← 783.

თავის პოზიციასაც გაიმარჯვებს და ტრამპსაც დაამზიდებს. ანაკლიის პორტის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ „გახდება საქართველო გეოთაგაზების სამიზნე თუ პარტნიორი, ეს საქართველოს ხელისუფლებასა და დამოკიდებულებას“.

ზოგადად კი საქართველო მუდმივი სამიზნეა, ამიტომც იყო და არის მუდმივ ბრძოლაში. მაგალითად, 2003-2012 წლებში გეომოთამაშეებს მიზანი მიღწეული ჰქონდათ, 2012 წლიდან კვლავ სამიზნედ გადაიქცა და ყოველთვის სამიზნედ დარჩება. ამიტომაც მართებს ნებისმიერ ეროვნულ ხელისუფლებას სიფრთხილე და სიფხიზლე, მათ შორის, საქმიანი ხელშეკრულებების გაფორმების დროსაც.

ახლა შევეხები ამერიკასთან და ევროპასთან გაუფუჭებულ ურთიერთობებს, რომელთა გადატვირთვას ხელისუფლება გეგმავს ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ. დავიწყებ იმით, რომ ხელისუფლებას ურთიერთობები არავისთან გაუფუჭებია, პირიქით, მასთან გააფუჭეს ურთიერთობები თან შეგნებულად, იმ იმედით, რომ მორჩილი ხელისუფლების მოყვანას შეძლებდნენ. ამიტომ, სანამ ამერიკის მსგავსად ევროპაშიც არ გადაიტვირთება პოლიტიკურ ძალთა ბალანსი და სანამ არ გაიმარჯვებენ მშვიდობისმოყვარე ძალები, ევროპასთან საუბარს აზრი არა აქვს. აზრი აქვს ტრამპთან და მის ადმინისტრაციასთან საუბარს, თუნდაც იმიტომ, რომ: „საკუთარი ქვეყნის ინტერესების წინა პლანზე დაყენების“ და „ოჯახური ღირებულებების“ საკითხებში ტრამპისა და საქარ-

თველოს ხელისუფლების პოზიციები თანხვედრაშია. მიაქციეთ ყურადღება, თანხვედრა სწორედ იმ საკითხებშია, რისთვისაც ისჯება „ოცნება“ ბაიდენის პოლიტიკის გამტარებელი ნატო-სა და ევროკავშირის ქვეყნების მიერ. ტრამპი უდიდესი ბირთვული იმპერიის პრეზიდენტია, ამიტომ მას ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაუბედავს იმის თქმას, რასაც საქართველოს ხელისუფლებას უბედავენ. კერძოდ, საქართველოს ხელისუფლებას უტიფრად ეუბნებიან, „საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე მაღლა ჩვენი ინტერესები უნდა დააყენო, თუ არადა, გადააბარე ხელისუფლებას“. ბუნებრივია, სანამ ტრამპი იქნება ამერიკის პრეზიდენტი, საქართველოს ხელისუფლებას აღარ დააშინებენ იმისთვის, რომ საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე ზრუნავს, მაგრამ რა ძალე-

ბი შეცვლიან ტრამპს, უცნობია. ამიტომ, ტრამპის პრეზიდენტობის ვადა „ოცნებამ“ საქართველოს გაძლიერებისთვის უნდა გამოიყენოს. ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველო ნორმალური სისწრაფით ძლიერდება, პოლიტიკურად კი საერთოდ არ ძლიერდება და ამიტომაც გვექცევიან მეგობრად წოდებულნი ისე, როგორც მოეპრანებათ. „ოცნება“, სანამ ხელისუფლებაშია, ამერიკაში კი ტრამპია პრეზიდენტი, საქართველო პოლიტიკურად უნდა გააძლიეროს. მაგალითად, თუ თბილისი, სოხუმი და ცხინვალი ერთობლივი მუშაობით გაამთლიანებენ საქართველოს, მაშინ პოლიტიკურად, გამთლიანებული საქართველო უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე დღეს არის. მაგრამ თუ თბილისი, სოხუმი და ცხინვალი საქართველოს გამთლიანე-

ბის პროცესში ჩართავენ მოსკოვს და ვაშინგტონს, ამ შემთხვევაში პოლიტიკურად, გამთლიანებული საქართველო ბევრად მეტ სიძლიერეს შეიძენს. ცნობისთვის, სოხუმი და ცხინვალი ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვენ ამ პროცესში მოსკოვის ჩართვას. თბილისმა კი ამ პროცესში ვაშინგტონი უნდა ჩართოს, თუნდაც ტრამპის პატივისცემის გამო.

ვხედავ საქართველოს პოლიტიკური გაძლიერების სხვა გზასაც, მაგრამ ეს გზა იმდენად არასტანდარტულია, რომ სანამ გავასაჯაროებ, მინდა კონსულტაცია გავაირო ისეთ ადამიანთან, ვინც საქართველოს პოლიტიკურად გაძლიერების აუცილებლობას ხედავს და ამ მიმართულებით მუშაობს.

როლანდ ნიკოლაიშვილი



გვესაუბრება მწერალი თამაზ ხმალამაძე

— ერს, ქვეყანას მომავალი რომ ჰქონდეს, განათლებული საზოგადოება უნდა ჰყავდეს. ქვეყანაში მიმდინარე პროცესები გვარწმუნებს, რა საგადასაწყობი განათლებაა. უნივერსიტეტები გაფიცულია, სტუდენტებს სწავლა აღარ უნდათ, ლექტორებიც მათ აჰყვებიან. როგორ უყურებთ ამ პროცესს?

— ამ პროცესში ახალგაზრდობას, ყველაზე ნაკლებად ვამტყუნებ. ჩვენ ახალგაზრდობა ხელიდან გაუშვით, საჭირო განათლება, ცოდნა არ მივეცით, მაშინ რატომ ვთხოვთ იმას, რაც არ გვისწავლება?! რა თქმა უნდა, ასეთ ახალგაზრდობას, ლექტორებზე ჯდომას ურჩევნია რუსთაველზე გაიარა-გამოიაროს. მით უმეტეს, თუ ამაში ლექტორიც ხელს უწყობს. ჩვენ ხომ მოსწავლეს, სტუდენტს არ ვასწავლეთ, რომ მთავარია სამშობლო, ზნეობა, ცოდნის მიღება. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ასეთი ახალგაზრდობა ცარიელ ქვეყნს ჰგავს — რასაც ჩასძახებ, იმას ამოგაძახებს.

განა შეიძლება, უნივერსიტეტის ბაღში მდგარი ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი წაბილწო. ეს ხომ მხოლოდ იმ ახალგაზრდის დანაშაული არ არის. ჩვენც ხომ დანაშაულები ვართ, რომ თაყაიშვილის ძეგლი წაბილწო, ვინც არის, რა ვასწავლეთ, რომ მთავარია სამშობლო, ზნეობა, ცოდნის მიღება. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ასეთი ახალგაზრდობა ცარიელ ქვეყნს ჰგავს — რასაც ჩასძახებ, იმას ამოგაძახებს.

აუცილებლად არ მიაჩნიათ. დიახ, მათ ვერ ავუსხენით, რა არის სამშობლო. შედეგად, რატომ გააკეთებს საკუთარი ქვეყნისთვის რამეს მაშინ, როცა მან არ იცის, რას ნიშნავს სამშობლო! მას ჰგონია, რუსთაველზე რომ გაივლის და რაღაცას შესძახებს, ამით სამშობლოსთვის ღირებულ რამეს აკეთებს. აი, ასეთი ვითარებაა, თაობები გვეკარგება, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვება.

— როგორ დაგვიბრუნოთ ახალგაზრდობა?

— ძირეული რეფორმა უნდა ჩატარდეს. მხოლოდ ახალგაზრდობის დაბრუნება საქმეს ვერ უშველის. მთელი საზოგადოება უნდა მივიღეს შეგნებამდე —

ყველაფერი კარგია და იქედან უნდა გადმოვიდეთ, მათ შორის, განათლების მოდელიც. საბჭოთა კავშირის დროს სწავლება გერმანული მოდელით ხდებოდა. ახლანდელ მოდელს „ბოლონიის პროცესს“ უწოდებენ, რასაც უკვე ამერიკაშიც უარყოფენ — ასე სამეცნიერო ცოდნის კი არა, მხოლოდ პოპულარული განათლების მიღება ხდება. ამჯერად საუბარია ფინური მოდელის დანერგვაზე. თქვენთვის რომელი მოდელია მისაღები?

— გერმანული მოდელი გაქართულებული გახლდათ. ჩვენ გვიყვარს ვითომ ექსპერიმენტები, რეფორმები. კი ბატონო, გაუფიქრებლად აუცილებელია, მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს იმა-

ვლის მერე კი, მან ინგლისური ლამის სახელმწიფო ენად გამოაცხადა. არ დადგა დრო, მიზნად ეროვნული სკოლის აგება დაეცა?

— დიახ, ეს აუცილებელია. არავითარ ცოდნას არ აქვს ფასი, თუ ეროვნულ ფესვებზე არ იქნება დაფუძნებული.

— ახალგაზრდობას, რომელიც ქუჩაში დგას და გაჰყვარის, ევროპულ მომავალს ვიცავთ, რომელსაც გვართმევენო, გააზრებული აქვს ეს რას ნიშნავს?

— არა, არ აქვს გააზრებული. როგორც მოგახსენეთ, ეს ახალგაზრდობა შეგნებულად ისე აღზარდეს, რომ ვერ გაიზარდოს, რა არის ევროპულობა — ჩასძახებ?

მამაკაცი მასწავლებლების დამსახურებაა. მამაკაცი ღირსება სულ სხვაა, რაც ბავშვმა სკოლაში უნდა ისწავლოს. წარმოდგინეთ, ბავშვი ბიჭი იქნება ის თუ გოგო, ხედავს, რომ პედაგოგებზე მხოლოდ ქალები ჰყავს და ფიქრობს, რომ ეს პროფესია მანდილოსნის საქმეა. რა გამოდის? — მოსწავლეს ჰგონია, რომ პედაგოგობა ღირსეული პროფესია არ არის, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, მამაკაციც ხომ ასწავლიდა საგანს?! პედაგოგის შრომა უფრო მეტად რომ დაფასდებოდა, მერე შეგვეძლება მას ბევრად მეტი მოვთხოვოთ. განა პედაგოგის ანაზღაურება არის შესაბამისი იმისა, რომ მას მეტი პასუხისმგებლობა დაეკისროთ?! — არა!


მოგაპალ თაობას ვკარგავთ, რასაც მიიღე შედეგი მოჰყვება

სამშობლო უბირველეს ყოვლისა. დღეს, სამწუხაროდ, ხალხსა და ხელისუფლებას შორის კონტაქტი დაკარგულია. ხელისუფლება რასაც ამბობს თეორიულად, კარგია, ჩემთვის გასაგებია, მაგრამ ეს საუბარი საზოგადოებისთვის არაფერს ნიშნავს — მას თავის ენაზე უნდა დაელოდებოდეს. ხელისუფლებამ ხალხს თავისი სათქმელი ვერ გააგებინა. ხელისუფლება ამბობს, რომ ყველაფერს სამშობლოსთვის აკეთებს და არ უნდა, მისი ქვეყანა ვინმეზე პოლიტიკურად იყოს დამოკიდებული, მაგრამ ეს მესიჯი ხალხამდე ვერ მივიდა. თითო-ორი პოლიტიკოსი ახერხებს, ხალხისთვის გასაგებად ისაუბროს, მაგრამ ეს არ კმარა.

— ახალგაზრდები გაიძახიან, ჩვენი გზა ევროპისკენ მიდისო. რამდენად შეესაბამება ჩვენი განათლების სისტემა ევროპული განათლების დონეს. რას ვთავაზობთ ამ გზაზე მომავალ თაობას?

— ჩვენი უნივერსიტეტების დიდი ნაწილი ევროპულს ბევრად არ ჩამოუვარდება. ბუნებრივია, ოქსფორდის, კემბრიჯის უნივერსიტეტებზე არ მაქვს საუბარი. ზოგადად, ჩვენი ახალგაზრდები ევროპაში არავისზე ნაკლებად არ სწავლობენ.

— ბატონო თამაზ, ჩვენ აყოლილი ვართ ტენდენციას, უცხოური



საც, რა ვითარებაა მსოფლიოში, ჩვენს ქვეყანაში და საკითხს აქედან გამომდინარე უნდა მივუდგეთ. გერმანული მოდელი უნდა გაუფიქრებლად იყოს, მაგრამ მისი უარყოფა შეცდომა იყო.

— წინა ხელისუფლების დროს ქართული ენის როლი საკმაოდ დაკნინებული იყო. თუმცა, ქართველს არც საბჭოთა კავშირის დროს უღხინდა — მაშინ რუსულს გვაძალავდნენ, სააკაშვილის მოს-

ხეს, ევროპას გვართმევენო და ისინიც იგივეს იმეორებენ. მშრომანში ღირსებას უნდა შევიძინო. მარი ისმება, რომელიც ადამიანი, ის ღირსებას ვერ დაკარგავს. თუ მრამ ღირსება დაკარგა, მრამ ბინდ ჰქონდა და ბინდ არა, მის არსებობას აზრი აღარ მქონდა.

— თქვენ საუბარი დაიწყეთ იმით, რომ სკოლა და უნივერსიტეტი მოუშვადებელი კადრების გამოშვებაში ერთმანეთს საყვედურობენ...

— დიახ, ეს პრობლემა — სათანადოდ მოუშვადებელი პედაგოგები, უმაღლეს სასწავლებლებში კარგად მომზადებულ ბავშვებს როგორ გააზრებინებინ?! საქმე ის არის, რომ აუცილებელია ცოდნა, სწავლა მეტად დაფასდეს. ახლა სკოლის პედაგოგებს ხელფასები კი გაუზარდათ, მაგრამ ეს არ კმარა, მეტია საჭირო. აქვე ერთ პრობლემაზე მინდა მკითხველის ყურადღება მივიქციო: სკოლაში მამაკაცი პედაგოგები აღარ არიან. კაცმა პედაგოგად რომ იმუშავოს, ის ამით ოჯახს ვერ არჩენს. არადა, მამაკაცი მასწავლებლის სკოლაში ყოფნა ისევე აუცილებელია, როგორც ქალის. მსოფლიოში რაც კი დიდი ადამიანი გაზრდილა, თითქმის ყველა

— ეს ერთი მხარეა, მეორე კი ის არის, რაც ზემოთაც ვახსენეთ, პედაგოგები ბავშვებს პატრიოტებად არ ზრდებიან — მათი სამშობლო ამერიკა, ევროკავშირი და არა საქართველო...

— ასეა, მაგრამ ეს მხოლოდ მასწავლებლის დანაშაული არ არის, პროგრამაშიც იგივე დევს. სასწავლო პროგრამიდან ამოიღეს ვაჟა-ფშაველას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. ახლა გლობალიზაციისკენ მივიღებთ და გვეუბნებიან, ერები საჭირო აღარ იქნება, საერთოდ უნდა გაქრესო. როგორც მუხრანი ამბობს: ასე ფიქრი დალანდა. ჩვენ გვინდა, რომ მომავალი თაობა ჩვენზე უკეთესი იყოს, მაგრამ წინაპრების ტრადიციები, ადამიანის ბუნებაზე უკეთესი არ არის, რომ აუცილებელია ცოდნა, სწავლა მეტად დაფასდეს. ახლა სკოლის პედაგოგებს ხელფასები კი გაუზარდათ, მაგრამ ეს არ კმარა, მეტია საჭირო. აქვე ერთ პრობლემაზე მინდა მკითხველის ყურადღება მივიქციო: სკოლაში მამაკაცი პედაგოგები აღარ არიან. კაცმა პედაგოგად რომ იმუშავოს, ის ამით ოჯახს ვერ არჩენს. არადა, მამაკაცი მასწავლებლის სკოლაში ყოფნა ისევე აუცილებელია, როგორც ქალის. მსოფლიოში რაც კი დიდი ადამიანი გაზრდილა, თითქმის ყველა

ახალგაზრდობის რაღაც პროცენტისთვის, აქციაზე სიარული დროებითია. თუმცა მათი დიდი მასა რევოლუციურ თრობას თავს ძნელად დააღწევს.

თამაზ ხმალამაძე



საკითხები, რომელთა უარყოფას დაგვაზარალებს

ყოფილმა პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა ჯორჯ სოროსის ოფისში დაილო ბინა. დაახლოებით 20 წლის წინათ, მაშინ, როდესაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვიკავი, ჩვენთან სტუმრად მობრძანებულ ბატონ ჯორჯ სოროსს, რომელიც ჩემ წინაშე იდგა, ხელი არ ჩამოვართვი. ასე რომ მოქცეულიყო უნივერსიტეტის მამნიდელი აკადემიური და სტუდენტური საზოგადოება, დღეს ამ საზარულ რეალობაში არ აღმოვჩნდებოდით. ჩვენ კი რა გავაკეთეთ, შუაგულ ქალაქში, ბელინსკის ქუჩაზე თავისი სამშობლოდან გამოძევებულ მისტერ ჯორჯ სოროსს ოფისი გაუხსენით, ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ და ჩვენი აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებიან დღემდე სოროსის ფონდში პროექტების შეტანაში.

ასევე მეორე კურსის სტუდენტმა ორი შეკითხვა დავესვი ფილოსოფიის დარგში ავტორიტეტულ მეცნიერსა და პროფესორს ბატონ ბურაჩიშვილს:

- ბატონო გურამ თქვენი აზრით, გერმანული ფაშისმი უფრო საშიში და სასტიკია თუ სიონისტური ფაშისმი?
- ბატონო გურამ, ჩემი აზრით, კაცობრიობა დაახლოებით ოცდამეორე საუკუნის ათიან წლებში აღმოჩნდება უსასტიკესი სიონისტური ფაშისმის წინაშე. თქვენ ამ მოსაზრებას ეთანხმებით?

ბატონ გურამ თვეზამეს თავი პქონდა დახრილი და მდუმარედ ჩასცქეროდა ერთ წერტილს. მან არ ან ვერ მიპასუხა. ის საკითხები, რომელთა შესახებაც შეკითხვები სტუდენტობის ასაკში დავესვი პროფესორს, დღესაც საოცრად აქტუალურია და ამიტომ ვიხსენებ. და მთავარი ის არის, რომ ამ შეკითხვებზე დღესაც არ არსებობს პასუხები. ასევე, 2019 წლის დეკემბრის თვეში (მაშინ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი ვიკავი) რინდელის ფონდში გამართულ სამეცნიერო სემინარზე შეკითხვა დავესვი მომხსენებელს, პროფესორ მარინა შპინაშვილს:

- თქვენი აზრით ამერიკასა და ჩინეთს შორის ურთიერთობა ხომ არ გამწვავდება და კაცობრიობა ახალი გამოწვევების წინაშე ხომ არ აღმოჩნდება-მეთქი?
- შემდეგ პროცესები როგორც განვითარდა და როგორც ვითარდება, ცხადად ვხედავთ. და მე იქვე კომენტარი გავაკეთე და ვთქვი, ამერიკასა და ჩინეთს შორის ურთიერთობები აუცილებლად გამწვავდება და ამ ვითარებაში ამერიკა, რუსეთი და ჩინეთი ყველა იმ სახელმწიფოს გამოიყენებს, რომლებიც

მათ პროვოკაციებს წამოვება, ასე გაგრძელდება მრავალი წელი და როცა თავიანთ მიზანს მიაღწევენ ამერიკა, რუსეთი და ჩინეთი, გარკვეული დროით იქნება პლანეტაზე ილუზორული მშვიდობა და ყველაფერი ისე და იმგვარად იქნება, როგორც ეს სამი გეოპოლიტიკური მოთამაშე ერთმანეთში შეთანხმდება-მეთქი. ასე რომ, მსოფლიოს ახალი წესრიგი ძირეულად არ შეიცვლება, ძველი წესრიგი დარჩება. უბრალოდ, ამერიკა ვერანერად ვერ იქნება ერთადერთი გლობალური მოთამაშე. შეიქმნება სამი ძალის ცენტრი - ამერიკა, რუსეთი, ჩინეთი და მოიაზრება ინდოეთიც, მეოთხე ძალის ცენტრად.



მნიშვნელოვანია საქართველოს საკითხი ესოდენ რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში. საქართველოს აქვს უნიკალური კულტურა და ადგილმდებარეობა. მხოლოდ ეს ორი ძირითადი მახასიათებელი ჩვენ შეგვიძლია რაციონალურად გამოვიყენოთ და მაქსიმალური სარგებელი მივიღოთ. როგორ შეიძლება ჩვენ ამას მივაღწიოთ? მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი, მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი ადამიანების სახელმწიფოებრივი აზროვნებითა და ქმედებით. აუცილებელია, დაუყოვნებლივ შეიცვალოს ეს მარაზმებული ე. წ. განათლების არსებული სისტემა, რომელიც რეალურად არის გაუნათლებლობის სისტემა. განათლების ყველა საფეხურზე აუცილებელია შეიცვალოს არსებული სასწავლო პროგრამები და ეს ფსევდოსახელმძღვანელოები. მასწავლებელთა კვალიფიკაცია და სწავლების მეთოდებიც ასევე დაუყოვნებლივ შესაცვლელია. რეალურად ჩვენ ვლუპავთ მომავალ თაობებს და ეს დანაშაულია.

რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ? პირ-

ველ რიგში, განათლების და მეცნიერების სამინისტროში რეალურად უნდა ჩატარდეს რეფორმები. უნდა შეიქმნას მაღალკვალიფიციური ადამიანთა ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს განათლების ყველა ეტაპზე კონკრეტულ სამოქმედო გეგმას და შექმნის ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკას, რომელიც რეალურად აღსრულდება. საჭიროა გერმანიის ყველაზე წარმატებული საჯარო სკოლების სასწავლო პროგრამები იქნას შესწავლილი და ვითარებით ის სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლითაც სწავლობენ გერმანელი მოზარდები. ასევე, უნდა შევარჩიოთ რამდენიმე წარმატებული გერმანული უნივერსიტეტი და

ნოლოგიური ეკონომიკა. შესაბამისად, თუ ჩვენ დღეს დავისახავთ სწორ და რეალისტურ მიზანს და დავიწყებთ გონივრულ მოქმედებებს, ქვეყანა ამ საზარელი მდგომარეობიდან თანდათან გამოვა. ამისათვის საჭიროა, ხელი-სუფლებას პქონდეს შესაბამისი პოლიტიკური ნება. ჩვენ თითქმის 35 წელი ვიარეთ უდაბნოში. ახლა საჭიროა გონებრივი ძალების მობილენება, მიზნის დასახვა და მიზნის მიღწევა გონივრულ დროში. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ამ ძირითადი ამოცანების გონივრულ დროში გადაწყვეტას, მუდმივად ვიქნებით მართვადა და უმართავი ქაოსის ეპიცენტრში. ამიტომ აუცილებელია დროული და გონიერი მოქმედებები. განათლებული, მაღალპროფესიონალი ადამიანების აზროვნება, ქცევა, ქმედება უნდა გახდეს სამაგალითო ყველასათვის.

გავიხსენებ ილია ჭავჭავაძეს, როცა ის პეტერბურგიდან დაბრუნდა, პირველი, რაც გააკეთა, საქართველოში დააფუძნა „წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. აუცილებელია, ჩვენ შევისწავლოთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, დაუკავშიროთ ის თანამედროვეობას და პრაქტიკულად გამოვიყენოთ ძლიერი თანამედროვე მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიული საქართველოს შექმნისთვის. ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ ჩვენი სტრატეგიული ადგილმდებარეობის ჩვენივე ინტერესებიდან გამომდინარე გამოყენებას, ჩვენი უნიკალური კულტურის დაცვასა და გაძლიერებას, ჩვენი უნიკალური მშობლიური ენის, ჩვენი უნიკალური მამულისა და სარწმუნოების დაცვასა და შენარჩუნებას.

ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე წლების წინ საუბრობდა, რომ საქართველო უნდა გახდეს საპარლამენტო მონარქიული სახელმწიფო და თავის რეზიდენციას მოიაზრებდა მომავალი მონარქის სასახლედ. თავად კი სამების რეზიდენციაში განაგრძობდა მოღვაწეობას. შეგახსენებთ, დღევანდელი საპატრიარქოს რეზიდენციაში არსებობდა საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბატონი ვახტანგ ბერიძე. იმასაც შეგახსენებთ, რომ ეს ტერიტორია სამეფო კარის იყო. იქ იყო ერეკლე მეფის ასულის, თეკლა ბატონიშვილის სასახლე. სამეფო კარის ეკლესია და საქართველოს უკანასკნელი მეფის სასახლე, სადაც დღემდეა რუსი გენერალი ლაზარევი მოკლა. საქართველოს უკანასკნელი მეფის სასახლე დღეს იქ აღარ არსებობს. შემორჩენილია მხოლოდ სამეფო კარის ეკლესია. ამ საკითხებზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ აუცილებელია, ვიცოდეთ ჩვენი ისტორია, გვახსოვდეს და პატივი ვცეთ მას.

თამარ დოლიძე

← 533.

ბრბო ედედრობითი საქანისაა

ვისაც მიზეზთა გამო მათ გვერდით ვერ ვხედავდი, მაგრამ სოცქსელებში აქტიურ მხარდაჭერას უცხადებდნენ, სწორედ იმ ფრანკისეულ მდებარეობით სქესის მეძახ ხალხად აღვიქვამ, რომლებიც საკუთარი ნებით ეძლევიან ყველას, ვინც ამის აუცილებლობა შთაავონა. სამწუხაროდ, მხოლოდ ტვინის გაუპატიურება არ არის სახეზე...

სიმბოლურია, რომ ფრანკს წააგავს „რეჟისორი“ ქარდავა... ფაქტობრივად, საქართველო პოლიტიკური ნიშნით კი არა, სქესის მიხედვით გაიყო. ერთ მხარეს არის გადელელებულ უსამშობლო ადამიანთა ნაკრები განურჩევლად სქესის, ეროვნებისა და აღმსარებლობისა, ხოლო მეორე მხარეს — საქართველოს შვილებად დაბადებულ-ჩამოყალიბებულები, განურჩევლად სქესის, ეროვნებისა და

აღმსარებლობისა, პოლიტიკური სარჩული მხოლოდ ხელისუფლებაში განმეორებით დაბრუნებაზე დაგეშილი ნაცმოს ხლისტების სარჩულია.

საქმე ის არის, რომ 70-წლიანი საბჭოთა კომუნისტური მარწუხებიდან სისხლის ფასად გამოვლოდით და საკუთარი ნებით პირდაპირ კოლონიზატორებს ჩავუხტიით ხანში.

არ არსებობს ქვეყანაზე იმაზე დიდი მტერი, ვიდრე კოლონიზატორის მიერ აღზრდილი ინტელიგენციააო, — ერისა და იმავეს ამბობდნენ მაპათიმა განდიც და ჯავაპარლად ნერუც, რომლებიც კოლონიალიზმის შედეგების მომსწრენი იყვნენ. ლიბერალური ფაშისმის შესახებ კი რონლდ რეიგანმა იწინასწარმეტყველა. რაც შეეხება

„დემოკრატია“, ხალხის ძალა-უფლებად რომ შემოგვასაღეს, — რუხველტმა უთხრა სტალინს, კი, დემოკრატია ხალხის ძალაუფლებაა, მაგრამ მხოლოდ ამერიკელი ხალხის ძალაუფლებათ...

არ მიყვარს ადამიანი-ქვევრი, რასაც ჩასახებ, იმას რომ ამოგახებს...

ვერავის ხათრით ვერ ვიტყვი „დაიხ“-ს, თუ „არა“ არის სათქმელი!..

მოისპოს სისხლის სამართლის დანაშაულების მიმართ შუალედური, ნელთბილი დამოკიდებულება! არა! — ფაშისტურ საქართველოს!

მანია ჭმლიძე



არ მახსოვს, რომელი ცნობილი ადამიანის ნათქვამია „რა კარგია უცოდინრობა, ყველაფერი იცი!“ მაგრამ ნამდვილად რომ ასეა, ამაში წლების განმავლობაში დაგრწმუნდი. მთელი უბედურება კი ის არის, რომ უცოდინრობა განუკურნებელი ავადობასავითაა, უცოდინარი იმდენად თავდაჯერებულია, რომ არცაი მოვისმენს, შესაბამისად, ვერც იკურნება. მერამდენედ ვხედავ უკვე უცოდინართა ნაკრებს, დაწვებული ქუჩის აქციებით, დამთავრებული კაბინეტებით, აღარ ვიცი, უკვე სათვალავი ამერია...

ფილოსოფოს ანაქსიმენეს ახალგაზრდა მოწაფემ ჰკითხა, რატომ არის ასე, რომ ყოველ მომდევნო წელს ეჭვი მეპარება იმაში, რაზეც წინა წელს დაბეჯითებით ვსაუბრობდი?


ანაქსიმენემ ქვიშაზე ორი წრე მოხაზა, დიდი და პატარა. პატარა წრე არის ის ცოდნა, რაც გვქონდა, დიდი წრე კი ის ცოდნაა, რაც ახლა გვაქვს. თუ ცოდნას ვიძენთ, წლების განმავლობაში ჩვენი ცოდნის საზღვრები იზრდება. ყველაფერი, რაც წრის გარეთ არის, ეს არის უცოდინრობა. რაც უფრო ფართოა ცოდნის წრე, მით მეტი შეხება აქვს არცოდნასთან, შესაბამისად, მეტი შეკითხვა და ეჭვი ეხადება ადამიანს.

დაასაბუთეს ის, რასაც შემდგომში „დანიგ-კრუგის ეფექტი“ ეწოდება. 2000 წელს, მკვლევარებს აღნიშნული ნაშრომისთვის მიენიჭათ ნობელის პრემია. ეს პრიზი გადაეცემათ ისეთი ორიგინალური და უჩვეულო მეცნიერული აღმოჩენის ავტორებს, რომლებიც თავდაპირველად სკეპტიკურად და იუმორისტულად განაწყოფს საზოგადოებას მოცემული საკითხისადმი, მაგრამ შემდეგ დააფიქრებს.

ანაქსიმენე-დანიგ-კრუგის ეფექტი გულისხმობს უცოდინარი ადამიანების თვისებას — გადაჭარბებულად შეაფასონ საკუთარი უნარები და მიანიჭონ საშუალოზე მაღალი დონე. თავიანთ ნაშრომში მათ საილუსტრაციოდ აქვთ ის-

ნებული. ფაუნის ყველა სახეობის მოყვარული ვარ, მაგრამ ფრთხილი — გამუდმებით ჩაფიჩინებდი, არ შეიძლება ყველა უცხო ძაღლის ჩახუტება-მეთქი. პასუხი იყო: ძაღლები მცნობენ! და განმარტება: როცა ძაღლი კუდს გიქნევს, მეგობრად გიღებსო. არ უნდოდა ჩემი მოსმენა, რომ ძაღლის კუდის ქნევა ორგანოა, ლაქუცისა და ნერვიული. პოდა, მოუწია ერთხელაც მუცელში ცოფის საწინააღმდეგო ნემსების კეთება და ისწავლა ჭკუა, თუმცა ბოლომდე მაინც არ გატყდა, ნასვამი ვიყავი და ალკოჰოლის სუნზე გაღიზიანდაო...

მოკლედ, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ რაც უფრო ნაკლები იცის



„რა კარგია უცოდინრობა, როცა ყველაფერი იცი!“

ტორია, რომელიც პოპულარული გახდა.

1995 წელს, პიტსბურგში მცხოვრებმა მაკარტურ ვილერმა დღისით ორი ბანკი გაძარცვა და მიიმალა. მოგვიანებით, საღამოს 11

ადამიანმა კონკრეტული საკითხის გარშემო, მით უფრო მეტად არიან დარწმუნებულები საკუთარი მოსაზრებების სისწორეში და არ შეუძლიათ სხვისი კომპეტენტურობის შეფასება.

აღნიშნულ ფსიქოლოგიურ მოვლენას დანიგ აკუზირებს ფიზიოლოგიურ დაავადება ანოსოგნოსიასთან. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ადამიანი პარალიზებულია ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში არსებული დაზიანების გამო, თუმცა ამას ვერ აღიქვამს, რადგან დაზიანებულია ნერვი, რომელიც აღქმის სისწორეზე პასუხისმგებელია.

მას შემდეგ, რაც აღნიშნულის შესახებ გაიგე, არაერთი ადამიანი „ამოხსენი“. როდესაც ასეთ ადამიანს რამეს აუღებ, ის ვერ ასრულებს დაფლებას, მაგრამ მიზნად მოჰყავს არა ის, რომ ვერ აღიქვამს, რა უნდათ მისგან, არამედ, ამბობს რომ დალილია, დაავიწყდა, რადაც პრობლემა ჰქონდა, ან რაიმე სხვა მიზეზს ასახელებს.

მსგავსად ამისა, არაკომპეტენტურმა ადამიანებმა არ იციან, რომ არ აქვთ კონკრეტული უნარები და ვალდების შესასრულებლად — ეს ლეტაკონიტიური უუნარობა არის ანოსოგნოსიის ანალოგია ფსიქოლოგიაში.

ყველა ვხედავთ ეკრანზე, ან პირადად ვიცნობთ ადამიანებს, ვინც ყოველდღიურ ცხოვრებაში დანი-

გ-კრუგის ეფექტს განასახიერებენ. არაერთხელ ვხვდებით მოწმე, როგორ იძლევიან სამედიცინო, კულინარიულ, კოსმეტიკურ, დიეტურ, პლასტიკური ქირურგიის, პედაგოგიის, ომის წარმოების და ა. შ. თითქმის ყველა სფეროზე რჩევებს მსახიობები, ტელეწამყვანები, უბრალოდ, ცნობილი სახეები ისე, რომ საკუთარი მოსაზრებების სისწორეს ეჭვქვეშაც კი არ აყენებენ ეს არაკომპეტენტური ადამიანები. ასეთები მრავლად გვყავს გვერდით, სამსახური იქნება, სახლი თუ სამეზობლო — დაავადებულია პლანეტის მოსახლეობის არცთუ უმნიშვნელო რაოდენობა.

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ასეთ ადამიანებთან მარტოე საურთიერთობო ხერხს მივაგენი და დიდად აღარ ვწუხდები — არ ვუსმენ, სხვა რამეზე ვიწყებ ფიქრს. მართვია, დანიგ-კრუგის ეფექტის გამოვლინების დეილ კარნეგის შეგონებებთან შერწყმას ვახერხებ და ორ კურდღელს ერთად ვიჭერ, სხვაგვარად, უბრალოდ, გავგიჟებოდი...

ყველა ვიცნობთ სტუდენტს, რომელიც უკმაყოფილოა საგანმანათლებლო ტესტებში მიღებული შეფასებით და საკუთარ წარუმატებლობას აბრალებს ყველას და ყველაფერს, არაობიექტურობიდან დაწყებული, განათლების სისტემით დამთავრებული. მას იოტიისოდენა ეჭვიც კი არ შეაქვს საკუთარ

ნიჭიერებასა და უნარებში, ცოდნა რაღა მოსატანია...

არაერთ შოუს ვუყურებთ და ვხედავთ კონკურსანტებს, როგორ აგრესიულად იღებენ კომპეტენტური ფიურის შეფასებებს. ისინი ისე ღრმად არიან თავდაჯერებულები საკუთარ ვოკალურ თუ სხვა მონაცემებში, რომ ზრდილობის ნორმებიც ავიწყდებათ — მათ, უბრალოდ, არ იციან, როგორია კარგი შესრულება... იგივე ითქმის წერაზე, კულინარიაზე, ქცევაზე და ა. შ.

დანიგმა და კრუგერმა კორნელის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობით ექსპერიმენტების სერია ჩაატარეს. სტუდენტებს სხვადასხვა ტიპის დავალების შესრულება და შემდეგ საკუთარი შედეგების პროგნოზირება დაავალეს.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ დაბალი შედეგების მქონეებმა მაღალი თვითშეფასება გამოავლინეს, 12-ქულიანი 60 ქულით განსაზღვრავდნენ საკუთარ შესაძლებლობებს, 90-ქულიანი კი პირიქით, 80 ქულას ვარაუდობდნენ...


ყველაფერს ეშველება, მაგრამ როდესაც დანიგ-კრუგის ეფექტი ქვეყნების მმართველობაში ერევა, მძიმე მდგომარეობა უდგებათ როგორც ადგილზე, ისე სხვა ქვეყნებს. მიმოვიხედოთ მსოფლიოში — ყველაზე დიდი პრობლემა დანიგ-კრუგის ეფექტია — არაკომპეტენტურმა ადამიანებმა არ იციან თავიანთი არაკომპეტენტურობის შესახებ და სხვისი კომპეტენტურობის გარჩევაც არ შეუძლიათ ასეთი ადამიანები რომ სწორ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებენ, ხომ ცხადზე უცხადესია?

მკვლევარები მიუთითებენ, რომ აღნიშნული ეფექტის შესამცირებლად საჭიროა, ადამიანებმა გაიგონ ამ ეფექტის არსებობის შესახებ, ისწავლონ მისი აღმოჩენა საკუთარ თავსა და სხვებზე დაკვირვებით.

პრობლემის მოგვარების ძირითადი გზა განათლება და მისი უდიდესი როლის აღიარებაა.

განათლებულობა არ არის ის, რაც ვიცით, განათლებულობა არის იმის უნარი, რომ განაცალკევო ერთმანეთისგან, რა იცი და რა არ იცი!..

Dunning-Kruger Effect



მამასადამე, ცოდნასა და უცოდინრობას შორის ამგვარი დამოკიდებულებაა — რაც მეტი იცის ადამიანმა კონკრეტული საკითხის გარშემო, უფრო მეტად ხვდება იმას, რა არ იცის, რა აკლია სრულყოფილი ცოდნისთვის. შეძენილი ცოდნის რეალობის აღქმა მის თავდაჯერებულობას უპირისპირდება და კრიტიკული ხდება. ადამიანი იაზრებს საკითხს, რაც ხშირ შემთხვევაში, იმდენად მრავალმხრივია, რომ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება ძნელია.

უცოდინარ ადამიანს ამგვარი საწუხარი არ აქვს. მისი გადაწყვეტილება ყოველთვის მყარია, რადგან არ აქვს ინფორმაცია იმ უამრავი დეტალის შესახებ, რაც კონკრეტულ საკითხს ეხება და, რაც შეიძლება, რომ ეჭვისა და მერყეობის საფუძველი გახდეს.

მამასადამე, უცოდინარის თავდაჯერებულობა და მცოდნეს მოკრძალება ერთი მოვლენის ორი მხარეა, რაც მარტოადა ახსნა ანაქსიმენემ ქვიშაზე დახაზული წრეებით, რაც საუკუნეების შემდეგ მეცნიერულად დადასტურდა ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების სერიაში.

1999 წელს დევიდ დანიგმა და ჯასტინ კრუგემ თავიანთ ნაშრომებში მეცნიერულად აღწერეს და

საათზე, მას შემდეგ, რაც მედიასა-შუალეებმა ბანკების სათვალთვალო კამერებით გადაღებული ძარცვის ამსახველი კადრები გაავრცელეს, ვილერი დააპატიმრეს.

როდესაც პოლიციის განყოფილებაში ვიდეოჩანაწერი აჩვენეს, ვილერი გაოგნებას ვერ მალავდა, ჩურჩულით იმეორებდა „კი, მაგრამ მე ხომ წვენი გამოვიყენე?“

მძარცველს ძარცვის დროს სახეზე ლიმონის წვენი ჰქონდა წასმული. მას მტკიცედ სჯეროდა, რომ ლიმონის მჟავე წვენი მის გამოსახულებას კამერებისთვის უხილავს გახდიდა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვილერს ვერ გადაათქმინებდით, რომ ლიმონის წვენი სახეს ვერ დაუფარავდა.

ვილერის მსგავსი თავდაჯერებულებით ვართ გარშემორტყმული, მაგრამ სამწუხაროდ, შეგნებული განათლების მიღების გარდა, მათი წამალი არ მეფულება. დიას, განათლებაც კი მრავალგვარია...

უმარტივეს მაგალითს ვიტყვი სახელდახელოდ — თავის წრეში საკმაოდ დაფასებული პროფესორი კაცის შესახებ ვიამბობთ. სოფელში დაბადებულ-გაზრდილი იყო, ძაღლები უყვარდა გამორჩეულად, ერთ ძაღლს არ გაუშვებდა ქუჩაში, ყველას ეფერებოდა ცხო-



„მოუხელთიბელი ჯოჯან“ დონალდავდა

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ორშაბათის მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ამერიკის შეერთებული შტატები იყო. მართალია, ზესახელმწიფოსადმი ინტერესი ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ახლა განსაკუთრებით მოელოდა მსოფლიო აშშ-ში მოვლენების განვითარებას. 20 იანვარს, ორშაბათ დღეს გაიმართა ქვეყნის ახალი, 47-ე პრეზიდენტის (ამაღდროულად, ყოფილი 45-ის) ინაუგურაცია. თანამედროვე აშშ-ის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როდესაც თანამდებობიდან წასულმა პრეზიდენტმა ოთხი წლის შემდეგ კვლავ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში და გაიმარჯვა.

ინაუგურაციით დღეს ვერავის გააკვირვებ, რადგან ყველა, თუნდაც პატარა ქვეყნებში ახალი მმართველის მოსვლა პოპულურად აღინიშნება. ამჯერად აშშ-ის ახალი პრეზიდენტისგან მსოფლიო დაპირებულ გლობალურ ცვლილებებს ელოდება, აინტერესებს, დაისადგურებს თუ არა პლანეტაზე შვიდობა. მოკლედ, შეკითხვა ბევრია, რომელზეც პასუხი აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ უნდა გასცეს სხვა დიდი ქვეყნების მეთაურებთან ერთად. თუმცა, რომე-



სოა აშშ-ის წამყვანი ტელეკომპანია სი-ენ-ენ-ის ინფორმაცია, რომელიც გასულ კვირას წერდა: „არჩევნების დამთავრებისთანავე, მსოფლიოს ქვეყნების ცალკეული ლიდერები ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის ეჯობნათ და როგორმე მოეპოვებინათ დონალდ ტრამპის სიმპათიები. განსაკუთრებით უკრაინელები, კერძოდ,

გახსნილ სივრცეში გამოსვლას ერიდება და აქ საქმე უკვე ყოფილ პრეზიდენტ ჯო ბაიდენამდე მიდის. მისმა თანაშემწემ, ჯეიკ სალივანმა განაცხადა, რომ საზოგადოებას არ ეშვებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბაიდენის ხელისუფლება წავიდა. თუმცა, იქვე განაცხადა, ჯერ ბოლომდე არ მივდივარ, ვნახოთ, რა მოხდება მომავალში.

გააფორმა, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკური კავშირების გარდა, ერთმანეთთან სამხედრო სფეროშიც თანამშრომლობენ. უკრაინაში სამხედრო კონფლიქტის დასრულების შემდეგ ბრიტანეთი იქ საკუთარი არმიის განთავსებას აპირებს, რომელსაც სამშვიდობო მისია ექნება. აქვე აღსანიშნავია, რომ ბრიტანული გამოცემები სტარმერის მცდელობას პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის მცდელობად მიიჩნევენ, რისი საფუძველიც მათ ნამდვილად აქვთ.

აღნიშნულ შეთანხმებას უარყოფითად აფასებენ ბრიტანელი ექსპერტები. მათი აზრით, სტარმერის მოულოდნელი ჩასვლა უკრაინაში, მით უფრო, დონალდ ტრამპის ინაუგურაციის წინ, უადგილო და გამომწვევი იყო. ბრიტანეთში განსაკუთრებით უკმაყოფილო არიან უკრაინისთვის შეპირებული დახმარებისთვის, მაშინ, როდესაც ქვეყანაში რეცესიაა. ცალკეული პოლიტიკოსები გაუმართლებელ ნაბიჯად მიიჩნევენ ქვეყნის ხელისუფლების რუსეთთან ღია დაპირისპირებას. თუმცა, პრესისა და მოსახლეობის მოსაზრება იქაური მმართველი ჯგუფისთვის ნაკლებად საინტერესოა.

სამაგალითოდ ისიც საკმარისია, რომ ლეიბორისტები ცდილობენ ლორდათა პალატის გაუქმებას. მიზეზი მარტივი აღმოჩნდა, ისინი მეტისმეტად მამაკაცური, ტრადიციულები არიან. გარდა ამისა,



ლი სახელმწიფოებია სიმშვიდის მომხრე და რომელი წინააღმდეგი, ცალკე საკითხია.

აშშ-ის პრეზიდენტის ინაუგურაცია მართლაც განსაკუთრებული აღმოჩნდა. 1985 წლის შემდეგ ღონისძიება პირველად ჩატარდა დახურულ სივრცეში. 40 წლის წინ, იმჟამინდელი პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის ინაუგურაცია დიდი ყინვების გამო დახურულ სივრცეში გაიმართა. წლებულს აშშ-ში განსაკუთრებით ეშვებოდნენ ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიებისთვის. მიპატივებული სტუმრების რაოდენობა შეზღუდული იყო. განსაკუთრებით თვალშისაცემი ევროკავშირის ხელმძღვანელის, ურსულა ფონ დერ ლაიენისა და უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის არმიწვევა იყო. ფრაუ ურსულა ბოლო წუთამდე იბრძოდა, როგორმე მიეღო მოსაწვევი, მაგრამ... იგივე ბედი გაიზიარა ზელენსკიმაც.

განსაკუთრებით საინტერეს-

ზელენსკი ცდილობდა ტრამპის მოთაფვლას. დონალდ ტრამპის ვაჟმა, უმცროსმა დონალდმა სოცსელებში ირონიულად დაწერა: „ზელენსკიმ სამჯერ ითხოვა ზეჟენა-მუდარით, როგორმე მიგვეწვია ინაუგურაციაზე, მაგრამ სამჯერვე კატეგორიული უარი მიიღო. ყველაზე სასაცილო ის გარემოებაა, რომ ახლა ზელენსკი ისე წარმოაჩენს საქმის არსს, თითქოს თვითონ მან განაცხადა უარი ინაუგურაციაზე დასწრებაზე“.

დღევანდელი ინაუგურაციის დახურულ შენობაში გამართვის რამდენიმე მიზეზს ასახელებენ. ერთ-ერთი პირველი, რომელიც თავად დონალდ ტრამპმა დაასახელა, უამინდობა, ანუ ყინვებია. თუმცა, სინოპტიკოსები მას არ ეთანხმებიან, რადგან ვაშინგტონში უფრო მძაფრი ყინვებიც ახსოვთ. ანალიტიკოსების შეფასებით, ახალარჩეული პრეზიდენტი ზაფხულში მასზე განხორციელებული თავდასხმების შემდეგ



კიდევ აქვთ ერთი შეხედვით დიმილისმომგვრელი მიზეზები. ფაქტია, რომ ერთ დროს მსოფლიოში დიდი იმპერია იშლება, რასაც წამყვანი პოლიტოლოგები ხაზგასმით აღნიშნავენ.

ბრიტანეთში პედოფილიის შემთხვევები იშვიათი მოვლენა არ არის. მილიარდერი და მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანი ილონ მასკი პირდაპირ ადანაშაულებს ბრიტანეთის პრემიერს, კირ სტარმერს, არასრულწლოვან ბავშვებზე ძალადობაში, გაუპატიურების ფაქტების დაფარვაში. იგულისხმება პერიოდი, როდესაც სტარმერი სამეფოს პროკურორი იყო. მსჯელობა გასულ კვირას ბრიტანეთის პარლამენტშიც გაიმართა, მაგრამ გამამტყუნებელი ვერდიქტი მთავრობის მეთაურის მიმართ არ გამოუტანიათ, იმ მიზეზით, რომ უმრავლესობაში ლეიბორისტები არიან.


გასულ კვირას გამოსამშვიდებელი სიტყვა წარმოსთქვა ჯო ბაიდენმა. ძნელია თქმა, რისი იმედი უნდა ჰქონდეს პრეზიდენტს, რომლის მმართველობის პერიოდში ქვეყანამ არაერთი მარცხი იწვნია. თუმცა, ბაიდენი ჯიუტად აცხადებს, რომ მისი ხელმძღვანელობით ამერიკამ დიდ წარმატებებს მიაღწია. თუმცა, არ უხსენებია ავღანეთიდან სამარცხვინო გაქცევა, კონფლიქტის გაღვივება ახლო აღმოსავლეთში, უკრაინა ხომ თურმე მედგრად უტყვევს რუსეთს... თავის გამოსვლაში იგი შეეცადა, დაეშინებინა ქვეყნის მოსახლეობა: „...სახელმწიფოს სათავეში მოდის მდიდართა მცირე ჯგუფი, რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენს ჩვენს ქვეყანაზე და, საერთოდ, მსოფლიოზე. ამიტომ მოგიწოდებთ: გაფრთხილდით!“ მისი გამონათქვამები ანალიტიკოსებმა მუქარად შეაფასეს და სავარაუდოდ, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის დახურულ სივრცეში გადატანაც გამართლებულიად მიიჩნიეს.

ვიდრე დონალდ ტრამპი თავის მიზნებს განახორციელებს, ევროპასა და საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე გაურკვევლობაა. გასულ კვირას სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრმა რობერტ ფიცომ უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის კვლავ შესთავაზა მოლაპარაკება რუსეთთან ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტის (გადაკეტვის) თაობაზე. უკვე შევიცარიან კურორტ დავოსის ფორუმზე, სამაგიეროდ კი არადიპლომატიური პასუხი მიიღო.

გასული კვირის კი არა, წლის მოულოდნელობად მიაჩნიათ პოლიტოლოგებს ირანის პრეზიდენტის, მასუდ პეზეშკიანის მოსკოვში მოულოდნელი ჩასვლა, სადაც მასპინძელ ვლადიმირ პუტინთან ფართომასშტაბიანი ხელშეკრულებები გააფორმა. ასეც ხდება, როდესაც აშშ (კერძოდ, ბაიდენი და გლობალური ფარული ხელისუფლება) აგვიანებს, სხვები საქმეებს აგვარებენ.

ეს ყოველივე ჩვენმა მთავრობამაც უნდა გაითვალისწინოს...

ბია ბურღული



შეეძლო, მამის ერთ-ერთ ფირმაში პრესტიჟული თანამდებობაც დაეკავებინა, მაგრამ საკუთარი გზით სიარული გადაწყვიტა. იგი ერთ-ერთ პატარა ოკეანისპირა ქალაქში გაემგზავრა, სადაც ბარმენად მუშაობდა, თავისუფალ დროს კი თევზაობას და ნადირობას უთმობდა. ერთი წლის შემდეგ ცივილიზაციის დაუბრუნდა და ოჯახური ბიზნესის შესწავლას შეუდგა. თავიდან იგი მსხვილ საშენებლო პროექტებს კურირებდა, მერე კი ფირმის საზოგადოებასთან ურთიერთობის მდივანი გახდა. დღეისთვის ის The Trump Organization-ის ვიცე-პრეზიდენტი.

დონალდ ტრამპი-უმცროსი 2005-2018 წლებში მოდელ ვანესა ჰეიდენზე იყო დაქორწინებული.

რაფებას ახალისებდა და მოლაპარაკებებზე თან დაჰყავდა. თუმცა, იყო პერიოდები, როცა ტრამპის შუათანა ვაჟი კარიერის სხვაგვარად წარმართვას გეგმავდა, მაგრამ ბოლოს მაინც მამასთან მუშაობა არჩია. ერთი ფინანსებისა და მენეჯმენტის მართვა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში შეისწავლა.

როდესაც უფროსი ტრამპი პრეზიდენტი გახდა, The Trump Organization-ის მმართველობა ერიკს გადასცა. ახლა იგი, როგორც მისი და-ძმა, კომპანიის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის პოსტს იკავებს.

ერიკ ტრამპი აქტიურ ქველმოქმედებას ეწევა, მან დააარსა ფონდი ბავშვთა კვლევის საავადმყოფოს დასახმარებლად, რომელ-

გადიოდა მოდურ ჟურნალში. 2016 წლის არჩევნებში მამის ყველაზე აქტიური აგიტატორი იყო, თუმცა მას პოლიტიკა ნაკლებად აინტერესებს.

მამაკაცებს შორის ტიფანი პოპულარობით სარგებლობს. იგი პენსილვანიის უნივერსიტეტში სწავლისას ზედმეტი ერთ ახალგაზრდას, ტრამპი ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო პოლიტიკური პრინციპის გამო, რადგან ტიფანის შეყვარებულის მამა ჰილარი კლინტონს უჭერდა მხარს.

საბედნიეროდ, რომანი მალე დასრულდა, ხოლო 2018 წელს საბერძნეთში დასვენებისას ტიფანიმ მაიკლ ბოლუსი, ლიბანელ-ამერიკელი მილიონერი გაიცნო,

ამერიკის ახალგაზრდა პრეზიდენტის შვილები

20 იანვარს აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ინაუგურაცია გაიმართა, რომელსაც სხვა მნიშვნელოვან სტუმრებთან ერთად, მისი მრავალრიცხოვანი შვილებიც ესწრებოდნენ.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება, რას საქმიანობენ ამერიკის ახალგაზრდა პრეზიდენტის შვილები, განსაკუთრებით, ყოფილი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ვაჟის, ჰანტერის ფონზე...

დონალდ ტრამპს ხუთი შვილი ჰყავს, რომელთაგან უფროსი 47 წლისაა, უმცროსს კი გაზაფხულზე შეუსრულდა 18 წელი...

დაარქვეს. განსაკუთრებით ხარობდა ბავშვის ბაბუა, მილოშ ზელენჩიკი, ივანა ტრამპის მამა. პატარა დონალდს ძალიან უყვარდა ბაბუა, ყველაფერში მას ბამავდა და მასთან არდადეგების გატარებას პრადის სიახლოვეს, არაფერი ერჩია. ბიჭუნა გატაცებული იყო ნადირობითა და თევზაობით, ჩეხეთის ისტორიის და ჩეხური ენის შესწავლით.

უმცროსმა დონალდმა ბრწყინვალე განათლება და ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი მიიღო პენსილვანიის უნივერსიტეტში,

ლო, რომელთანაც ხუთი შვილი შეეძინა. განქორწინების შემდეგ ტელეწამყვან კიმბერლი გილფოილს ზედება. იგი პერსპექტიულ პოლიტიკოსად მიიჩნევა და პრეზიდენტობაზე კენჭისყრისკენაც კი მოუწოდებენ.

ივანკა ტრამპი

დონალდ ტრამპის უფროსი ქალიშვილი 43 წლისაა. სწორედ მას მიიჩნევენ მამის ყველაზე საყვარელ შვილად. სინამდვილეშიც ასეა, მამა არასოდეს მალავდა ივანკას მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, მაგრამ იმასაც აკონტროლებდა, რომ გოგონა არ გაენებიერებინათ. ივანკამაც შესანიშნავი განათლება მიიღო და პენსილვანიის უნივერსიტეტის ეკონომიკის ბაკალავრის დიპლომიც მიიღო. ოჯახურ ბიზნესში რამდენიმე კომპანიაში მუშაობის შემდეგ მან საკუთარი საინჟინერო კომპანია დააარსა, გამოუშვა ტანსაცმლის ბრენდი, რომელსაც საკუთარი სახელი დაარქვა.

მამას ორივე წინასაპრეზიდენტო კამპანიაში უჭერდა მხარს, როგორც დონალდი-უმცროსი. დღეისთვის ივანკა ტრამპი The Trump organization-ის აღმასრულებელი პრეზიდენტი.

ივანკა ჯარედ კუშნერთან ერთად დღემდე ბედნიერად ცხოვრობს, რომელსაც 15 წლის წინათ გაჰყვა ცოლად. მისი მეუღლე მილიონერის ვაჟი და მამის მხრიდან ბელორუსელი ემიგრანტების შვილიშვილია. ჯარედის ბები-ა-ბაბუამ ერთმანეთი პარტიზანულ რაზმში გაიცნეს, 1945 წელს დაქორწინდნენ, ოთხი წლის შემდეგ კი ამერიკაში წავიდნენ ემიგრაციაში. ივანკამ იუდეველთა რწმენა მიიღო, როდესაც ორთოდოქსი ებრაელების ოჯახის წევრი გახდა. ივანკას და ჯარედს ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავთ.

ერიკ ტრამპი

ბიჭუნა მომავალი პრეზიდენტის პირველ ქორწინებაში გაჩნდა და ყველა არდადეგებს ბები-ბაბუსთან ატარებდა პრადის შემოგარენში. ადრეული ასაკიდან იცოდა, რომ მისი ადგილი ოჯახურ ბიზნესში იყო, მამა მის ამ მისწ-



მაც მალევე შეიცვალა პროფილი და ახლა სხვა საავადმყოფოებსა და საქველმოქმედო ორგანიზაციებს ეხმარება. პირველი ვადით არჩევნების პერიოდში ერიკი მამის საკანძო მრჩეველი და თანხების შემკრები იყო.

რამდენიმე წლის განმავლობაში ერიკი პროდიუსერ ლარა იუნასკას ზედებოდა, 2014 წელს ისინი დაქორწინდნენ და ახლა ვაჟს და ქალიშვილს ზრდიან.

ტიფანი ტრამპი

დონალდ ტრამპისა და მარლა მეილზის ქალიშვილს ხშირად „მივიწყებულ ბავშვს“ უწოდებენ მხოლოდ იმის გამო, რომ მშობლების განქორწინების შემდეგ ის დედასთან ერთად კალიფორნიაში გაემგზავრა და სხვა მემკვიდრეებისაგან განსხვავებით ვერ ზედებოდა მამას. ამასთან, ის არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდა ბიზნესის წარმოებასა და პოლიტიკაში მოღვაწეობისთვის.

ტიფანი სოციოლოგიასა და ურბანისტიკას პენსილვანიის უნივერსიტეტში სწავლობდა. დიპლომის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ ვაშინგტონის უნივერსიტეტთან არსებულ სამართლის სკოლაში განაგრძო სწავლა, სადაც იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მოიპოვა.

ტიფანის მუსიკოსის კარიერაც იტაცებდა, ასევე, სტაჟირებას

რომელსაც ბიზნესი ნივერიაში აქვს. მალე მათ ნიშნობა აღნიშნეს, 2022 წლის ნოემბერში კი წყვილი დაქორწინდა.

ტიფანი ტრამპს საკუთარი ბლოგი აქვს, მის ხელმძღვრთა რაოდენობა 1,3 მლნ-ზე მეტია. იგი და-ძმებთან თბილ ურთიერთობებს ინარჩუნებს და არასოდეს ავიწყდება მათთვის დღესასწაულების მილოცვა.

ბარიონ ტრამპი

დონალდ და მელანია ტრამპის ვაჟი 2006 წლის 2 მარტს დაიბადა. ცნობილია, რომ მან ჩოლუმბია Grammar & Preparatory School-ი დაამთავრა და შესანიშნავად ფლობს ჩეხურ, სლოვენურ და ფრანგულ ენებს.

ბავშვობაში რამდენჯერმე გამჩინდა ტელეეკრანზე, დედასთან ერთად მონაწილეობდა სხვადასხვა ღონისძიებაში, შემდეგ კი მამის ინაუგურაციასაც ესწრებოდა. წელს ტრამპის უმცროსმა ვაჟმა ოქსბრიჯის აკადემია დაამთავრა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა.

მას, მამასავით მომავალ გულთამყრობელად მიიჩნევენ, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ, ჯერჯერობით, იგი დედის ტოტალური კონტროლის ქვეშ იმყოფება...

ბელა გველმისიანი



რას გვამსწობენ პარსკვლავები

ქართული ახალი წელი კვეთს სტილითაც გავისტუმრეთ და ახალი სტილითაც. 2025 წელი ხის მფხანე გველის წლად მივიღეთ და ყველგან მისი სიმბოლოები გამოვფინეთ, მაგრამ თუ აღმოსავლურ კალენდარს მივყვებით, ახალი წელი ჯერ არ დაგვადგარა, 2025 წლის 10 თებერვალს იწყება და 2026 წლის 29 იანვრამდე გაგრძელდება.

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N1)

ლომი

ლომის ამ წლის კარმული ამოცანა საკუთარ თავზე ზრუნვაა, თუცა ახლობლებიც არ უნდა დაგვიწყდეთ, რადგან წლის განმავლობაში მათგან არაერთხელ მიიღებთ მხარდაჭერას. თუ სპორტზე, ცხოვრების წესის შეცვლაზე ან პირობების განვითარებაზე ფიქრობდით,

აქამდე ყურადღებას არ აქცევდით, ექიმთან გადაამოწმეთ და სახიფათო პროცესები გამოიცხადეთ. ნუ ეცდებით თვითმკურნალობას. 2025 წელი კარმული წელია, ამიტომ, სამედიცინო მოტყუების და პრობლემის სწრაფად გადაჭრის მცდელობა მხოლოდ მის გამწვავებას გამოიწვევს.

ამ წელს სიზარმაცის დაძლევა არაერთხელ მოგიწევთ და საკუთარი მიზნებისა და გეგმების აღ-

მშვილდოსანი

ამ წლის თქვენი კარმული ამოცანა საკუთარი თავის რწმენაა. ეს წელი დაგეგმარებათ იმის გაცნობიერებაში, რომ თქვენ საკუთარ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი ადამიანი ხართ და ახლობლების აზრებმა და ფასეულობებმა თქვენი მიზნები და ცხოვრებისეული გეგმები არ უნდა შეცვალოს.

2025 წელი პარტნიორული თვალსაზრისით არაერთ სიახლეს



მნიშვნელოვანია რომ საკუთარი დანაზოგის შექმნაზე იფიქროთ. მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახსა და იმ საკითხების გადაჭრას, რომლებიც დიდი ხანია, გვერდზე გადადეთ.

მიმდინარე წელი აქამდე არსებულ შეცდომებზე დაგაფიქრებთ, ფასეულობებს კიდევ ერთხელ გადააფასებთ და უფრო გაცნობიერებულად შეუდგებით ცხოვრებას.

თხის რქა

ეს წელი საკუთარი თავის გამოხატვის დიდ შესაძლებლობას გპირდებათ, მაგრამ ამავდროულად, მოგიწევთ კიდევ ერთხელ გადახედოთ თქვენს ცხოვრებისეულ შეხედულებებს და კიდევ ერთხელ განსაზღვროთ პრიორიტეტები. გველის წელი ბევრ მოგზაურობას, ფინანსურ თავისუფლებას და არსებულ შიშებზე გამარჯვებას გპირდებათ.

დაგჭირდებათ საკუთარ იმიჯზე მუშაობა, რადგან ახლა დაწინაურ-

ბის მანსი და ხელსაყრელ პრობებში აღმოჩენის შესაძლებლობა გაქვთ. თუ ბიზნესი გაქვთ, ეს წელი ამ მხრივაც წარმატებული იქნება. მთავარია, ცვლილების არ შეგეშინდეთ!

მირწყული

გახსოვდეთ! რაც ნაკლებ ენერგიას დასარჯავთ, მით მეტად გაუმჯობესდება თქვენი ფიზიკური მდგომარეობა. 2025 წელს თქვენი მთავარი ამოცანაა, საკუთარ თავს მოუსმინოთ, რადგან ყველა შეკითხვაზე პასუხი თქვენსავე თავშია. საკუთარ თავთან გულწრფელი საუბარი მიგანიშნებთ, როგორ განაგრძოთ ცხოვრება.

2025 წელი ფინანსური კეთილდღეობით ნამდვილად გაგახარებთ და შემოსავლის გაზრდას გპირდებათ, თუცა, ასტროლოგები ამბობენ, რომ სჯობს, სარისკო გადაწყვეტილებები არ მიიღოთ და თქვენი შემოსავალი საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების განვითარებისკენ მიმართოთ.

ეს წელი თქვენს ცხოვრებაში არაერთ ახალ ადამიანს შემოიყვანს, რომლებთან ურთიერთობაც სასარგებლო და სასიამოვნო იქნება.

თევზები

მოგიწევთ, რომ ცხოვრების წესი მთლიანად შეცვალოთ, უკვე შეჩვეული, კომფორტული, მაგრამ მოძველებული მდგომარეობიდან გამოხვიდეთ და ახალი გეგმები დასახოთ.

ამ წელს საკმაოდ თავდაჯერებული იქნებით, რაც იმის შესაძლებლობას მოგცემთ, რომ ყველაზე ამბიციურ გეგმებსა და მიზნებს შეეჭიდოთ, მათ განხორციელებაზე იფიქროთ და აიღოთ პასუხისმგებლობა როგორც საკუთარ თავზე, ისე საყვარელ ადამიანებზე. მთავარია, იცხოვროთ საკუთარი აზრებით, მოუსმინოთ საკუთარ თავს და გადაწყვეტილებები სხვისი გავლენით არ მიიღოთ.



მაგრამ მოტყუაცია არ გქონდათ, ამ წელს მანსი გაქვთ, რომ თქვენს ცხოვრებაში რეალური ცვლილებები მოხდეს.

ქალწული

ქალწულები, როგორც წესი, ყოველთვის გაააზრებულ გადაწყვეტილებებს იღებენ, მაგრამ წელს მოგინდებთ, რომ „გამორთოთ“ რაციონალურობა და გრძნობებს მიენდეთ.

ყურადღება მიაქციეთ ფინანსებს. შესაძლოა, იმის გამო, რომ თქვენთან ემოციები გაძლიერდება, მთელი დანაზოგი სპონტანურად დახარჯოთ. სხვა მხრივ კი, ეს წელი არაერთ თავგადასავალსა და ცვლილებებს გიმზადებთ, რაც დაგეგმარებათ, რომ პიროვნულადაც განვითარდეთ და კარიერულადაც.

სასწორი

სასწორებისთვის ამ წლის კარმული ამოცანაა, საკუთარ ჯანბრუნვაზე, კვების მოდელზე, ცხოვრების სტილზე და სამსახურის გრაფიკაზე იფიქროს. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ის დეტალი, რასაც

სრულებისთვის იმუშავეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, განვითარების მანსი დაკარგავთ. თუ სამსახურის შეცვლას გადაწყვეტთ, კარგად დაფიქრდით, რამდენად გონივრულ გადაწყვეტილებას იღებთ და მხოლოდ შემდეგ გადადგით ნაბიჯი.

პარტოხელა სასწორები საინტერესო და სასიამოვნო სიურპრიზებს მიიღებენ პირად ცხოვრებაში. შესაძლოა, შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს და ბედნიერ დღეებს მოგიტანს.

მორიელი

მორიელების კარმული ამოცანაა საკუთარი ინდივიდუალობისა და თვითგანვითარებისთვის მეტი ყურადღების დათმობა. დაიწყეთ საკუთარი თავისთვის ცხოვრება და ნელ-ნელა უარი თქვით იმ ადამიანებთან ურთიერთობაზე, რომლებიც უზერხელობას გიქმნიან და ბედნიერებასთან გაშორებენ.

2025 წელი დიდ შენამენებს გპირდებათ, რაც შესაძლოა, განსაკუთრებულად წარმატებული აღმოჩნდეს.

გპირდებათ როგორც ასტროლოგები ამბობენ, ურთიერთობებში სიმშვიდესა და პარმონიას იპოვით და ეს დამატებითი მოტყუაცია გახდება, რომ წინსვლა განაგრძოთ.



„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი № 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. № GE19BG000000182763600.

საერთო გაზეთი

შპს საბავშვო-საინფორმაციო სერვისი „საერთო სივრცე“

მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილაძე

რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბარკინიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

თამარ შევლიძე, ვია ბურდული, მანა ჭელიძე, ზურაბ ომხერელი, ლევან ჭილაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკავალდონებელი), თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გაერცვლების მენეჯერი) 599 58 72 50.

<http://www.saertomedia.com>

მის.: თბილისი, სლავა მებრეველის ქ. 18; ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)

E-mail: saertogazeti@yahoo.com. <http://www.saertomedia.com>

რეგისტ. № 202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთის გამოცემა: შპს „ელვა-ჯი“

+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციის არ ეთანხებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოკვეთის შემთხვევაში ერთი კვირის ვადაში. მისთვის მასალის ავტორის ავტორის არ უნდა იყოს.

© ამ ნომრით აღნიშნული საკუთარი მასალა. იზაქაძე შპს „საქავალ-დასავალი“ სტამბაში. აბლაქის 39. ტელ.: 234-39-99